

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ლელა კუდუხაშვილი

ფრაზეოლოგიური ფონდის ლექსიკურ-სემანტიკური ანალიზი ინგლისურ და ქართულ ენებში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია:

ჰუმანიტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ანგლისტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ზურაბ ჩხიკვაძე

სრული პროფესორი

გორი

2021

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომის სათაურია „ფრაზეოლოგიური ფონდის ლექსიკურ-სემანტიკური ანალიზი ინგლისურ და ქართულ ენებში“.

ენათმეცნიერებაში, კერძოდ-ლექსიკოლოგიაში ფრაზეოლოგიის მნიშვნელობა და აქტუალობა საყოველთაოდ ცნობილია. ფრაზეოლოგიური ერთეულები წარმოადგენს ენათმეცნიერთა განსაკუთრებული ინტერესის და კვლევის საგანს. დღემდე რთულია მოვახდინოთ მათი ზუსტი კლასიფიცირება, რადგან ლექსიკა ენის ყველაზე მოქნილი და ცვალებადი ნაწილია.

ფრაზეოლოგიზმები ერთ-ერთი უმძლავრესი საშუალებაა ენის გასამდიდრებლად და სხვადასხვა კულტურათა ურთიერთშერწყმის, ურთიერთგამდიდრების ყველაზე ნათელი მაგალითია. ამიტომ, თავისთავად ცხადია, ეს საკითხი ძალზედ აქტუალურია ენის ნებისმიერი სპეციალისტისათვის, განსაკუთრებით კი ახლა, XXI საუკუნეში, მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში.

ქართულ ენას უადრესად მდიდარი და მრავალფეროვანი ლექსიკა აქვს. ლექსიკური მარაგით ქართული ენა გვერდში უდგას მსოფლიოში ყველაზე განვითარებულ ენებს. ქართულ ენაზე შესაძლებელია გადმოითარგმნოს ყოველგვარი სახისა და შინაარსის ტექსტი.

ანალოგიურად შეგვიძლია დავახასიათოთ ინგლისური ენაც. მთარგმნელობით პრაქტიკაში ფრაზეოლოგიური ერთეულების გადმოტანა ძალზედ აქტუალურია.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია თავი მოუყაროს ენის მკვლევართა აზრს ფრაზეოლოგიზმების შესახებ, გაარკვიოს მკითხველი ფრაზეოლოგიზმების რაობაში, შეისწავლოს, როგორ ახდენენ ენათმეცნიერები ფრაზეოლოგიზმების კლასიფიკაციას და გვიჩვენოს თუ რა როლი ეკისრება მათ ენის გამდიდრების პროცესში.

ჩემი სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს ქართულ-ინგლისური ფრაზეოლოგიური ერთეულების სემანტიკური კლასიფიკაციის ერთ-ერთ მცდელობას და მათი თარგმნის შეპირისპირებას.

ANNOTATION

The title of my master's thesis is "Lexical-Semantic Analysis of the Phraseological Foundation in the English and Georgian Languages"

The importance and relevance of phraseology in linguistics, in particular lexicology, are well known. Phraseological units have always been a subject of special interest and research for linguists. It is still difficult to classify them accurately and unambiguously, as vocabulary is the most flexible and variable part of a language.

Phraseologies are one of the most powerful means of enriching a language and are the clearest examples of intermingling and enrichment of different cultures. Therefore, it is self-evident that this issue is very relevant for any language specialist, especially now, in the XXI century, in the context of globalization.

The Georgian language has a very rich and diverse vocabulary. In terms of vocabulary, the Georgian language stands next to the most developed languages in the world. Texts of any types and content can be translated into Georgian.

The same is true for English. In the practice of translation, taking phraseological units from one language into another, is actual.

The aim of the presented paper is to gather the opinion of language researchers about phraseologies, to familiarize readers with phraseologies, to study how linguists classify phraseologies, and to show what role phraseologies play in the process of language enrichment.

My master work is one of the attempts to make a semantic classification of Georgian-English phraseological units and their corresponding translations.

შინაარსი

Contents

შესავალი.....	5
თავი I. ფრაზეოლოგიური ერთეულების შემსწავლელი მეცნიერებები.....	8
1.1 ლექსიკოლოგია.....	8
1.2 სემასიოლოგია.....	9
1.3 ფრაზეოლოგია.....	10
თავი II. ფრაზეოლოგია, როგორც ლინგვისტური დისციპლინა.....	14
2.1 ფრაზეოლოგიური ერთეულების კლასიფიკაცია.....	14
2.2 ფრაზეოლოგიური ერთეულების სამწევროვანი კლასიფიკაცია.....	17
2.3 ხატოვნება ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებში.....	18
2.4 ფრაზეოლოგია, როგორც ენათმეცნიერების დარგი და მისი კვლევის მეთოდები.....	20
2.5 ქართული ფრაზეოლოგიის სპეციფიკური მხარეები.....	22
III თავი; იდიომი.....	25
3.1 იდიომების სტრუქტურა.....	26
3.2 სიტყვათა წყობის მუდმივი რიგი.....	27
3.3 იდიომის მნიშვნელობის საფუძველი.....	29
3.4 ფრაზეოლოგიური შესიტყვებები იდიომთან მიმართებაში.....	32
IV თავი: ინგლისური ფრაზეოლოგიური ერთეულები.....	33
4.1 ინგლისური ფრაზეოლოგიზმების ფორმირება.....	35
4.2 ინგლისური ფრაზეოლოგიზმების კლასიფიკაცია.....	38
4.3 ფრაზეოლოგიზმების თარგმნის საკითხი.....	41
V თავი: მაგალითები.....	44
დასკვნა.....	60
ბიბლიოგრაფია.....	62

შესავალი

ფრაზეოლოგიური ერთეულები(ფრაზეოლოგიზმები)-ჩვეულებრივ, ისეთ შესიტყვებებია, რომლებიც შეიძლება დაშლილ იქნენ აზრის მიხედვით, მაგრამ ენაში დამკვიდრებულნი არიან, როგორც ხშირად სახმარი ციტატის მასალა და ამის გამო მათ გარკვეული მთლიანობა აქვთ მიღებული (ბულახოვსკი ლ.ა. „ენათმეცნიერების შესავალი“ 34).

ენის ექსპრესიულ შესაძლებლობათა საგანძურში გვაქვს სემანტიკური სიტყვათშეერთებანი, რომლებითაც გადმოცემულია გარკვეული მოკვეთილი აზრი, მისი ნაწილი ან შეგონება. ამისთანა სიტყვათშეერთებებს ფრაზეოლოგიზმები ჰქვია (დლონტი ალ. „ქართული ლექსიკოლოგიის საფუძველბი“ 91).

თვითონ ტერმინის „ფრაზეოლოგიის“ ენაში დამკვიდრება დაკავშირებულია ფრანგი მეცნიერის შარლ ბალის სახელთან. იგი აღნიშნავდა, რომ სხვადასხვა ენაში გარდა სიტყვათა საკმაოდ ვრცელი მარაგისა არსებობს ე.წ. მყარი შესიტყვებები, რომლებიც განსაკუთრებული მხატვრულობითა და ექსპრესიულობით გამოირჩევა. ამასთანავე იგი მიიჩნევდა, რომ ფრაზეოლოგია არის ენათმეცნიერების ის დარგი, რომლებიც შეისწავლის მყარ შესიტყვებებს, მათ წარმოშობა განვითარებასა და ფუნქციონირებას ენის სისტემაში.

ქართულ ენას უაღრესად მდიდარი ლექსიკა აქვს. ლექსიკური მარაგით იგი გვერდში უდგას მსოფლიოში ყველაზე განვითარებულ ენებს. ქართულ ენაზე შესაძლებელია მოხდეს მრავალი სახის ტექსტების თარგმნა, როგორცაა მხატვრული, სამეცნიერო, ხელოვნების და უამრავი სხვა ჟანრის ლიტერატურა. ამ განუზომლად დიდ შესაძლებლობას ქართულ ენას ანიჭებს მისი თვითმყოფადი და გამომსახველობის საშუალებებით მდიდარი გრამატიკული სტრუქტურა და ამოუწურავი ლექსიკა.

თემის აქტუალობა

თემის აქტუალობას განსაზღვრავს ის გარემოება, რომ დღევანდელ პირობებში ფრაზეოლოგიზმების შესწავლა გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული, რაც მათ ლექსიკურ-გრამატიკულ თუ სტილისტურ თავისებურებებში ვლინდება. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმგვარი გზებისა და საშუალებების გამოძიებას, რაც გააადვილებს ფრაზეოლოგიზმების უკეთ გაგება-გაანალიზებასა და ათვისებას.

ნაშრომის მიზანია

- 1) შეისწავლოს ფრაზეოლოგიზმების სტრუქტურა;
- 2) მოახდინოს ფრაზეოლოგიური ერთეულების კლასიფიკაცია;
- 3) გამოიკვლიოს ფრაზეოლოგიური ერთეულების ენაში გამოყენების სიხშირე;
- 4) მოახდინოს ფრაზეოლოგიური ერთეულებიდან იდიომების გამიჯვნა;
- 5) შეაპირისპიროს ქართული და ინგლისური ფრაზეოლოგიური ერთეულები.

ნაშრომის სიახლეს განაპირობებს

ნაშრომის სიახლეს წარმოადგენს ინგლისური და ქართული ენების ფრაზეოლოგიური ფონდის კვლევისა და მათ ლინგვისტურ ანალიზის საფუძველზე ფრაზეოლოგიზმების ფუნქციის განსაზღვრა, მათი როლისა და მნიშვნელობის გამოკვეთა ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრების პროცესში.

კვლევის მეთოდები

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას ძირითადად გამოყენებულია კვლევის შემდეგი მეთოდები: შედარებითი, თვისობრივი, ტიპოლოგიური (შედარება-შეპირისპირებითი); აღწერითი; რაოდენობრივი.

კვლევა იწარმოებს ინგლისური და ქართული ფრაზეოლოგიური ერთეულების შეპირისპირების საფუძველზე, რადგან ამ მეთოდის საშუალებით ნათლად

წარმოაჩენს ინგლისური და ქართული ფრაზეოლოგიური ერთეულების მსგავსებასა და განსხვავებებს.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება

ნაშრომის მიზანია მოკრძალებული წვლილი შეიტანოს ფრაზეოლოგიის პრობლემების კვლევაში, როგორც ენის ლინგვისტურ კულტურულ ასპექტში. კვლევის შედეგები მნიშვნელოვანი იქნება ენათა ტიპოლოგიის თვალსაზრისით და მასში თავმოყრილი მასალა გრკვეულ წვლილს შეიტანს ტიპოლოგიური ლინგვისტიკისა და მისი მომიჯნავე დარგების შემდგომ განვითარებაში.

ვფიქრობ, პრაქტიკული თვალსაზრისით ნაშრომი საინტერესო იქნება ფილოლოგიის მიმართულების სტუდენტებისათვის, მასწავლებლებისათვის და ამ საკითხებით დაინტერესებულ პირთათვის.

თავი I. ფრაზეოლოგიური ერთეულების შემსწავლელი მეცნიერებები

1.1 ლექსიკოლოგია

ქართული ენის სიტყვობრივი მარაგი მთლიანად შეადგენს მის ლექსიკას. ქართულ ენას უაღრესად მდიდარი და ნაირსახოვანი ლექსიკა აქვს. ლექსიკური მარაგით ქართული ენა გვერდში უდგას მსოფლიოში ყველაზე განვითარებულ და გავრცელებულ ენებს.

ლექსიკოლოგია ენათმეცნიერების დარგია, რომელიც ენის სიტყვობრივ მარაგ-ლექსიკას იკვლევს. ლექსიკოლოგია მიღებულია ორი ძველბერძნული სიტყვის შეერთებით: *lexis* და *logos*, თითოეული მათგანი ძველბერძნულად „სიტყვას“ ნიშნავს.

ლექსიკა ენის ყველაზე მოქნილი და ცვალებადი ნაწილია. იგი ფეხდაფეხ მისდევს ცხოვრებას და განუწყვეტლივ ივსება ახალი მასალით, საგამოთქმო ერთეულებით, რომლებიც ხალხის საზოგადოების ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის განვითარებას ასახავენ.

ქართული ლექსიკოლოგია, ქართული ენის ლექსიკურ მარაგს სწავლობს ორი ასპექტით: ა) დესკრიფტულად, ე.ი. იკვლევს და აღწერს ენის ლექსიკის დღევანდელ ვითარებას და ბ) დიაქრონიულად, ე.ი. იკვლევს ქართული ენის ლექსიკის განვითარებას ისტორიულად.

ლექსიკოლოგია შეისწავლის სიტყვებისა და ფრაზეოლოგიზმების აზრობრივ შინაარსს, მათ გამოყენების სფეროს და ექსპრესიულ-სტილისტურ დახასიათებას, მათ ისტორიასა და ადგილს ენის ლექსიკურ სისტემაში, რადგან ლექსიკა სიტყვების უბრალო ნაკრები კი არ არის, არამედ კონკრეტული ენის ლექსიკური ფონდის ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანპირობებული სისტემაა. აქედან

შეიძლება დავასკვნათ, რომ ლექსიკოლოგია წარმოადგენს მეცნიერების დარგს ენების ლექსიკურ სისტემებსა და სიტყვებზე, როგორც ამ სისტემის ელემენტებზე.

ადამიანი მოწოდებულია ენის ლექსიკური შემადგენლობის მეშვეობით მიახლოებით მაინც ასახოს მატერიალური თუ სულიერი ცხოვრების ყველა სფერო. მაგრამ საგანთა და მოვლენათა რაოდენობა განუსაზღვრელია, მაშინ როდესაც სიტყვების მარაგი შედარებით მცირეა და განსაზღვრული. ასეთი ვითარება ერთ-ერთ არსებითი ფაქტორთაგანს წარმოადგენს სიტყვის მნიშვნელობის ცვლისა და პოლისემიისათვის.

1.2 სემასიოლოგია

ენათმეცნიერებაში არსებობს რამდენიმე სახელწოდება იმ დარგთა აღსანიშნავად, რომელნიც ლექსიკას შეისწავლიან. მათგან ყველაზე გავრცელებულია „სემასიოლოგია“, „სემანტიკა“, „ონომასიოლოგია“, „ეტიმოლოგია“ და „ლექსიკოგრაფია“.

არნ. ჩიქობავა 1935 წელს წერდა: „გარკვეულ პერიოდში ხმარებულ სიტყვათა მნიშვნელობის სრულად აღრიცხვა მოგვცემს ენის ლექსიკას (სიტყვათა მარაგს)... აღწერითი ანუ სტატისტიკური სემასიოლოგია სხვა არაფერია, თუ არა იგივე ლექსიკოლოგია, ე.ი მოძღვრება ენის ლექსიკური მარაგის შესახებ...სტატისტიკური ლექსიკონი ამა თუ იმ პერიოდის აღწერითი, სტატისტიკური სემასიოლოგიაა“.

სემასიოლოგია არის ლექსიკოლოგიის დარგი, რომელიც შეისწავლის სიტყვების მნიშვნელობას, მის აგებულებას და დროში ცვალებადობას. ზოგჯერ სემასიოლოგია უფრო ფართოდაც ესმით, როგორც სიტყვის შინაარსეული მხარის შემსწავლელი მეცნიერება. იგი ფართო გაგებით შეისწავლის გრძნობით ელფერს, სტილისტურ ღირებულებას.

განვიხილოთ „ლექსიკოლოგიისა“ და „სემასიოლოგიის“ ურთიერთობა. ლექსიკოლოგია განიხილავს სიტყვას-ენის ძირითად ერთეულს, მის ცვლილებებს, წარმოებას, ხმარებულობას, ტიპებს. მას მჭიდრო კავშირი აქვს ენათმეცნიერების მეორე დარგთან-სემასიოლოგიასთან, რომელიც იკვლევს სიტყვათა და გამოთქმათა მნიშვნელობებს და მათ დიაქრონიულ ცვლილებებს.

სემასიოლოგია, როგორც ისტორიული ენათმეცნიერების დარგი, შეიქმნა IX საუკუნის I ნახევარში, როდესაც კ. რაიზინგმა (K. G. Reising) მოძღვრება სიტყვის მნიშვნელობის შესახებ მოათვსა გრამატიკულ დისციპლინათ შორის. ამჟამად სემასიოლოგია შეისწავლის სიტყვის მნიშვნელობის ცდას, მნიშვნელობათ კლასიფიკაციას, სიტყვის შინაარსობრივი მხარის აგებულებას, ენობრივი ნიშნის ბუნებას და მისი კვლევის მეთოდებს.

1.3 ფრაზეოლოგია

ფრაზეოლოგია (ბერძნ. φρασεολογισμός)- არის ენათმეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის მყარ შესიტყვებებს, მათ წარმოშობა-განვითარებასა და ფუნქციონირებას ენის სისტემაში.

ენის ფრაზეოლოგიური ფონდი წარმოადგენს უმდიდრეს წყაროს ხალხის კულტურისა და მენტალიტეტის შესახებ. ფრაზეოლოგიურ ერთეულებში დაფიქსირებულია ხალხის წარმოდგენები წეს-ჩვეულებებზე, რიტუალებზე, მორალზე, მითებზე და ა.შ. ისინი ყოველთვის ასახვენ ხალხის შეხედულებებს, ეპოქის იდეოლოგიას და საზოგადოებრივ წყობას.

საყოველთაოდ ცნობილია თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ფრაზეოლოგიის როლი ამა თუ იმ ენაში და ასევე ის ფაქტი, რომ იგი წარმოადგენს ენათმეცნიერთა მუდამ განსაკუთრებული ინტერესის და კვლევის საგანს წარმოადგენს. დღემდე ვერ ხერხდება მათი ზუსტი და კლასიფიცირება, რადგან მრავალი განსხვავებული და ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრება არსებობს ენათმეცნიერთა შორის.

ფრაზეოლოგიზმები მოსწრებული გამოთქმების, ფრთოსანი სიტყვების, სიტყვის მასალების და ანდაზების სახითაა დამკვიდრებული ენაში და ფართო ადგილს იჭერს სიტყვა-პასუხში. მდიდრულადაა იგი აღბეჭდილი მხატვრულ ლიტერატურაში. ფრაზეოლოგიურ ერთეულებად იქცა ხალხურ ენაში გავრცელებული გამოთქმები: ჩაილურის წყალი დალია, სახე ჩამოსტირის, თვალს წყალი დააღვინა, ტუჩზე დედის რძე არ შეშრობია და სხვა (დლონტი ალ. ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები-91).

სიტყვა, ჩვეულებრივ, მეტყველების ისეთ ერთეულს წარმოადგენს, რომელიც ყველაზე ადვილად გამოირჩევა, როგორც მატარებელი გარკვეული აზრობრივი შინაარსისა და, რომელსაც ჩვეულებრივ კარგად გამოყოფს მთელი გამოთქმიდან უგუნური ადამიანიც კი. მაგრამ არ შეიძლება ფრაზის სრულიად გაურკვეველად, ყოველგვარი სიძნელის გარეშე სიტყვებად დაშლა ყველა ენაში, შესაძლებელია მხოლოდ მისი ექვივლენტით შეცვლა.

სიტყვაშეხამებათა ლექსიკოლოგიური (და არა გრამატიკული, არა სინტაქსური) კლასიფიკაციის რამდენიმე ცდა არსებობს. მათი საერთო ნაკლი ის არის, რომ არ არის დამუშავებული იმგვარი ნიშან-თვისებები, რომლებიც საშუალებას მოგვცემდა ენაში არსებულ შესიტყვებათა ერთობლიობა წარმოგვედგინა ერთმანეთისაგან მკაფიოდ გამიჯნული ჯგუფების სახით. ამას თავისი ობიექტური მიზეზი გააჩნია: ლექსიკა იმდენად სწრაფად იცვლება, რომ ყოველ მომენტში, მის ყოველ რგოლში გარდამავალი საფეხურები არსებობს. ანუ საქმე გვაქვს უწყვეტობასთან და ამ უწყვეტობაში ცალკე ჯგუფების გამოყოფა მეტ-ნაკლებად ნებისმიერია. შესიტყვებათა კლასიფიკაციის ერთ-ერთი უკანასკნელი ცდა ექვს ძირითად ჯგუფს გამოყოფს, რომელთაგან ზოგიერთი ქვეჯგუფებადაც იყოფა;

1. თავისუფალი შესიტყვებები:

1.1 საერთო მნიშვნელობა წარმოადგენს მასში შემავალი ცალკეული სიტყვების მნიშვნელობათა ჯამს. აქ სიტყვების ერთად ხმარების საფუძველია

გამოსახატავი სიტუაცია; წითელი, ყვითელი ჭრელი...ნაჭერი; იშვიათი, ჩვეულებრივი, საყურადღებო.... ამბავი.

1.2 შესიტყვების ერთ-ერთ წევრს შემოსაზღვრული მოხმარების სფერო აქვს, რის გამოც მეორე წევრის არჩევანი შეზღუდულია: მაგ: ღვინო ფერის მიხედვით სულ სამ-ოთხ სიტყვას იგუებს; თეთრი ღვინო, შავი ღვინო, წითელი ღვინო.

2. განცალკევებული შესიტყვებები.

2.1 შესიტყვება ტერმინოლოგიური ხასიათისაა: მჟავე კიტრი, ანკარა წყარო, სიჩქარის გადართვა.

2.2 ტიტულის აღმნიშვნელი შესიტყვება: სახალხო არტისტი, უფროსი ლეიტენანტი და შესიტყვებით გადმოცემული საკუთარი სახელები; წყნარი ოკეანე, შვი ზღვა.

2.3 მკვიდრი შედარებები; თაფლივით ტკბილი, კვასავით მაგარი, ნახშირით შავი.

2.4 ერთ-ერთი წევრის მნიშვნელობა დიდად შორდება მის მთავარ მნიშვნელობას, მაგრამ მაინც შესიტყვების მნიშვნელობა შემადგენელი ელემენტების მიხედვით დაისკვნება: ბუნდოვანი აზრი, მტკიცე უარი...

3. მყარი შესიტყვებები-მარტივი ფრაზეოლოგიური კავშირები

აქ გამოთქმის ერთი წევრი, მეტწილად ზმნა, მნიშვნელობისგან დაცლილია, მაგრამ შესიტყვება მაინც შეიცნობა, როგორც შემადგენელი სიტყვების მნიშვნელობათა ჯამი: აღიარებს (ვისიმე) უპირატესობას, სიმართლეს.. აქვს შანსი, ინტერესი...

4. ფრაზეოლოგიური ერთიანობანი

სიტყვები აქ შედარებით მყარად არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, ხოლო საერთო მნიშვნელობა არის არა შემადგენელი ელემენტების მნიშვნელობათა

ჯამი, არამედ ამ ჯამის განზოგადება ან მეტაფორა. კისერს წაიტეხს, კბილებს აკრაჭუნებს...

ამ ჯგუფიდან იდიომატური გამოთქმებისაკენ გარდამავალი ვითარებაა წარმოდგენილი ისეთ გამოთქმებში, როგორცაა თეთრი ყვავი ეშმაკის მაშხალა...

5. ტყუბი ფორმულები

შინაარსობრივად წინა ჯგუფს წააგავს, გარეგნულად კი მიმართებითი სიტყვით (ან კავშირით) დაკავშირებული ორი(იშვიათად სამი) სიტყვისაგან შედგენილი შესიტყვებაა.

5.1 გაორმაგება გაძლიერების ან ხანგრძლივობის გადმოსაცემად: დრო და დრო, წლიდან წლამდე, ისევ და ისევ...

5.2 მნიშვნელობით ახლო მდგომის სიტყვების წყვილი: სული და გული, თავი და ბოლო...

5.3 მნიშვნელობის შემავსებელი ან დამაპირისპირებელი წყვილი: დღე და ღამე, ზღვა და ხმელეთი, მთა და ბარი...

6. იდიომები (მყარი ფრაზეოლოგიური კავშირები)

6.1 ერთ-ერთი კომპონენტის მნიშვნელობა გაბუნდოვნებულია: სიქა გააცალა..

6.2 მტკიცედ ჩამოსხმული ფრაზები: ტყემალზე ზის, ვერ მოგართვეს...

და ბოლოს ცალკე ჯგუფად არის გამოყოფილი დამთავრებული აზრის მქონე წინადადებები-ანდაზები, ციტატები. ხელი ხელს ბანს, ჭერში ბუზებს ითვლის..

შესიტყვებათა ლექსიკოლოგიურ დაჯგუფებათა სხვა ცდებიც არსებობს, მაგრამ სავსებით დამაკმაყოფილებელი სქემა ჯერაც არ შექმნილა.

თავი II. ფრაზეოლოგია, როგორც ლინგვისტური დისციპლინა

2.1 ფრაზეოლოგიური ერთეულების კლასიფიკაცია

ყოველ ენაში არსებობს მზა ერთეულები მყარი შესიტყვებების სახით, რომლებიც ამრავალფეროვნებენ და ხატოვნებას ანიჭებენ ენას, მეტყველებას ემოციურ ელფერს აძლევენ და ლაკონურს ხდიან. ენაში არსებულ ასეთ მზა ერთეულებს იყენებენ აზრის მხატვრულად გადმოსაცემად ან მოვლენის მკაფიო ასახვის მიზნით. (შრომები 24 კვირკველია მ. „ინგლისური ფრაზეოლოგიური ერთეულები და მათი ქართული ეკვივალენტები“ 438).

ფრაზეოლოგიზმების თავისებურება იმაში ვლინდება, რომ მათი შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობა არ უდრის მთელის მნიშვნელობას. არლი თაყაიშვილის განმარტებით „ფრაზეოლოგია იწყება სწორედ აქ, როდესაც მისი კომპონენტების მნიშვნელობა იზრდილება და შესიტყვება გვევლინება სემანტიკურ მთელად“

XX საუკუნის 50-იან წლებამდე ფრაზეოლოგია ლექსიკოლოგიის შემადგენელ დარგად მოიაზრებოდა. მას არ განიხილავდნენ, როგორც დამოუკიდებელ ლინგვისტურ დისციპლინა .

შარლ ბალის სახელს უკავშირდება ტერმინ „ფრაზეოლოგიის“ ჩამოყალიბება მეცნიერი აღნიშნავდა, რომ ამა თუ იმ ენაში გარდა სიტყვათა ვრცელი მარაგისა, არსებობს ე.წ. მყარი შესიტყვებები, რომლებიც განსაკუთრებული მხატვრულობითა და ექსპრესიულობით გამოირჩევა.

რუსეთში ფრაზეოლოგიის, როგორც ლინგვისტური დისციპლინის საკითხი ვ.ვ ვინოგრადოვმა დააყენა. საკუთარ ნაშრომებში მან მოახდინა ფრაზეოლოგიური ერთეულების დიფერენციაცია სემანტიკური ჯგუფების მიხედვით(Виноградовн 1947)

XIX საუკუნეში და უფრო ადრეულ პერიოდშიც ენათმეცნიერთა ყურადღებას იპყრობდა მეტყველების მყარი კონსტრუქციები, მაგრამ მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში მოხდა ენის ფრაზეოლოგიური სიმდიდრის თეორიული გააზრება.

რა მოცულობისაა ფრაზეოლოგია? რა მასალაა მისი შესწავლის ობიექტი? ამ საკითხზე მეცნიერებაში ორი უკიდურესი თვალსაზრისია დამკვიდრებული.

ერთია შედარებით ფართი თვალსაზრისი, რომელიც ფრაზეოლოგიის რამდენიმე განსხვავებულ დახასიათებას აერთიანებს:

- 1) ფრაზეოლოგიას მიეკუთვნება ყოველგვარი შესიტყვება, რომელსაც ახასიათებს ამა თუ იმ ხარისხის სიმყარე.
- 2) ფრაზეოლოგიაში შედის არა მეტყველების პროცესში წარმოქმნილი, არამედ ენაში მზა ფორმით მოცემული ყოველი გამოთქმა. ამ გაგების მიხედვით ფრაზეოლოგიზმების გვერდით მოთავსდება ტერმინოლოგიური ხასიათის გამოთქმები, ანდაზები, აფორიზმები, რომლებიც მზა ფორმით არსებობენ და გადმოიცემიან ტრადიციით.
- 3) ფრაზეოლოგიის განმსაზღვრელ ნიშნად მიჩნეულია მნიშვნელობის გადატანა. მ. მიხელსონის აზრით ფრაზეოლოგიის საგანია სახოვანი სიტყვები და ანდაზური გამოთქმები, ანდაზები და ქცევები, დამახასიათებელი ხალხის ენისათვის.
- 4) ფრაზეოლოგიას ფარგლავენ იმ მასალით, რაც სრულიად არ ითარგმნება სხვა ენაზე, ან მისი ზუსტი თარგმანი შეუძლებელია.
- 5) ფრაზეოლოგიაში ენობრივ მასალასთან ერთად შეაქვთ ცალკეული მწერლის ენაში ნახმარი ნიშანდობლივი გამოთქმები და ფრაზები, რომელთაც საერთო სახალხო სანქცია არა აქვთ.

მეორე უკიდურესი გაგების თანახმად ფრაზეოლოგიაში ადგილი რჩება მხოლოდ კლიშეებს. ს. აბაკუმოვის განმარტებით „ფრაზეოლოგია-ესაა სიტყვიერი შაბლონები, მზა სიტყვიერი კლიშეები, რომლებიც მექანიკურად მეორდებიან

ერთნაირ შემთხვევებში“ (თაყაიშვილი ა. „ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები“ 14).

არსებობს ფრაზემათა რამდენიმე კლასიფიკაცია სხვადასვა ნიშნის მიხედვით. ერთ-ერთ მათგანს საფუძვლად უდევს მთელი შესიტყვებისა და მისი კომპონენტების მნიშვნელობათა თანაფარდობა (ვინოგროდოვი). მაგალითად; ბოლთას სცემს ფრაზემაში კომპონენტებს შორის კავშირი უფრო მჭიდროა ვიდრე შიშმა შეიპყრო ფრაზემაში(თ. გამყრელიძე „თეორიული ენათმეცნიერების კურსი“ 375-376).

თავისუფალ შესიტყვებასა და ფრაზეოლოგიზმს შორის განმასხვავებელ ნიშნად მიიჩნევა შემდეგი: ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობა არ გამოიყვანება კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამიდან, ხოლო ამისგან განსხვავებით ნეიტრალურ შესიტყვებაში ყველა წევრი დამოუკიდებელი მნიშვნელობის გამომხატველია.

მაგ: მჟავე წყალი დალია-აქ ფრაზის ყოველი წევრი პირდაპირი მნიშვნელობითაა გამოყენებული, ხოლო მათი ჯამი გვაძლევს მთელი ნეიტრალურ შესიტყვების საერთო გაგებას.

ფრაზეოლოგიზმი კი წინადადებაში კი სემანტიკურად ასრულებს ერთი წევრის ფუნქციას. მაგ: ბაბუამ წერილი წაიღო; აქ პირდაპირი მნიშვნელობით ბაბუა-ქვემდებარეა, წერილი-პირდაპირი დამატება, წაიღო-შემასმენელი, მაგრამ ფრაზეოლოგიურ დონეზე „გარდაცვალების“ მნიშვნელობით არის სემანტიკურად დაუნაწევრებელი მთლიანობა.

შდრ; ნაღველი გაუსივდება: 1.პირდაპირი მნიშვნელობით-დასწეულდება; 2. ფრაზეოლოგიური მნიშვნელობით-მეტისმეტად შეწუხდება, ძალიან გაბრაზდება.

ფრაზეოლოგიური შესიტყვების ზმნას აქვს სემანტიკურ მიმართებათ შეზღუდული სფერო. იგი უკავშირდება არსებითი სახელის მკაცრად განსაზღვრულ წრეს; მაგ: ჭამა-შიში, სირცხვილი, ჯავრი და სხვა.

თავისუფალ შესიტყვებაში კი ზმნის სემანტიკური ველი შეუდარებელია, უფრო ფართოა; მაგ: ჭამა-ხილი, თევზი, პური (და საერთოდ ყველაფერი რისი ჭამაც შეიძლება).

2.2 ფრაზეოლოგიური ერთეულების სამწევროვანი კლასიფიკაცია

ფრაზეოლოგიის შესასწავლი ობიექტის შედარებით სწორი გაგება მოცემული აქვს ვ.ვ ვინოგრადოვს. იგი ენაში გავრცელებულ მთელ ფრაზეოლოგიურ მასალას ყოფს სამ დიდი ჯგუფად, ესაა: **ფრაზეოლოგიური შენაზარდები, ფრაზეოლოგიური მთლიანობები და ფრაზეოლოგიური შესიტყვებები.**

ავტორის აზრით, ენის ფრაზეოლოგიურ ფონდში ადვილად გამოიყოფა აბსოლუტურად დაუშლელი შესიტყვებათა ტიპები, რომელთა მნიშვნელობა არაა დამოკიდებული კომპონენტების მნიშვნელობაზე. ასეთი ერთეულები იწოდება **ფრაზეოლოგიურ შენაზარდებად**: მაგ: ჩაილურის წყალი დალია, ყურებზე ხახვი არ დამაჭრა, თვალს წყალი დააღვეინა და სხვა.

ავტორის აზრით მთავარია სემანტიკური დაუშლელობა, აბსოლუტური გამოუყვანლობა მთელის მნიშვნელობისა კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამიდან, შენაზარდის აღიარება სემანტიკურ მთელად, რომელსაც დაკარგული აქვს შინაგანი ფორმა მათ ვ.ვ. ვინოგრადოვი თანამედროვე ენის თვალსაზრისით ამორფული ლექსიკური ნაწილების ქიმიურ ნაერთს უწოდებს.

იდიომებთან ახლოს დგას, მეორე დიდი ჯგუფი ხატოვანი გამოთქმებისა, რომლებსაც ავტორი **ფრაზეოლოგიურ მთლიანობებს** უწოდებს „თუ მჭიდრო ფრაზეოლოგიურ ჯგუფში შენარჩუნებულია კომპონენტების გამოყოფის თუნდაც სუსტი ნიშნები, თუ გვაქვს თუნდაც ყრუ მინიშნება საერთო მნიშვნელობის მოტივაციაზე, ფრაზეოლოგიურ შენაზარდებაზე ლაპარაკი უკვე აღარ შეიძლება“. მაგ: კბილი დაასო, სახე ჩამოსტირის, ტუჩებზე დედის რძე არ შეშრობია და სხვა.

როგორც ვხედავთ, ამ ჯგუფის ძირითადი მასისათვის დამახასიათებელია ხატოვნება.

ფრაზეოლოგიურ მთლიანობათა გვერდით გამოდიან შედარებით ანალიზური ტიპის შესიტყვებანი, რომლებშიც კომპონენტების ინდივიდუალობა კი არ ინთქმება მთელის მნიშვნელობით, არამედ განისაზღვრება შედარებით გამოკვეთილად, თუმცა, ცხადია, თავისუფლად არ ჩაითვლება. ეს ე.წ. **ფრაზეოლოგიური შესიტყვებებია**: მაგ; ფიცს დებს, სირცხვილი ჭამა, მოთმინება დაკარგა და სხვა. (თაყაიშვილი ა. „ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები“ 17).

ასეთია ვ.ვ. ვინოგრადოვის სამწევრიანი კლასიფიკაცია, რომელიც ძირითადად ეყრდნობა სემანტიკურ პრინციპს. აქ წინ არის წამოწეული მნიშვნელობათა მხარე, მთელის მნიშვნელობის დამოკიდებულება კომპონენტების მნიშვნელობასთან, რაც სავსებით გამართლებული ჩანს ფრაზეოლოგიზმების მიმართ.

2.3 ხატოვნება ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებში

ფრაზეოლოგიური შესიტყვების ერთ-ერთ საფუძვლად მეტაფორული გარემოა მისაჩნევი.

ავტორთა ერთი ჯგუფი ფრაზეოლოგიურ შესიტყვებას განიხილავს, როგორც სახოვნებისგან დაცლილ მეტაფორას. ამის ძირითად მიზეზად მიაჩნიათ მეტაფორის აბსტრაქირება. ლ. ბულახოვსკის აზრით, მრავალმა სიტყვამ შემდგომი განვითარების შედეგად შეიძლება მთლიანად დაკარგოს მამეტაფორებელი აზრი.

მართალც ფრაზეოლოგიური შესიტყვების უმრავლესობაში მხატვრული სახის შეგრძნება დღევანდელ ეტაპზე მისუსტებულია; მაგ: სიჩუმე ჩამოვარდა, შიში ჭამა, საკითხი გადაწყდა და ა.შ. ამის ძირითად მიზეზად ჩანს ის, რომ სასაუბრო მეტყველებაში ხშირი ხმარებით ცვდება გამოთქმა და იჩქმალება მამეტაფორებელი აზრი. რაც უფრო ახალია მეტაფორა, მით უფრო ნათლად ხდება მისი აღქმა.

ფრაზეოლოგიზმს საფუძვლად უდევს ენაში ნეიტრალურად არსებული შესიტყვება, რომელიც გადააზრებისა და ხატოვნებით აღჭურვის შემდეგ იძენს თავისებურად ახალ სტატუსს.

მაგ: ორმოს ამოუთხრის, გაუთხრის -პირდაპირი მნიშვნელობით-ორმოს ამოუთხრის ის მას, ხოლო ფრაზეოლოგიური მნიშვნელობით-უღალატებს, მახეს დაუგებს.

ზოგ შემთხვევაში სემანტიკური თვალსაზრისით ფრაზეოლოგიზმს მთლიანად არ აქვს კავშირი გაწყვეტილი ნეიტრალურ შესიტყვებასთან; მაგ:თავი დადო-„თავი არ დაზოგა, თავი გაწირა“; სტრიქონსა და სტრიქონს შუა ამოიკითხავს „დაწერილის ან თქმულის ფარულ აზრს“. როგორც ვხედავთ, ფრაზეოლოგიზმი შეპირობებულია ნეიტრალური შესიტყვებით.

ვ.ვ. ვინოგრადოვის მოსწრებული თქმით „ნათელი ხატოვნება ფრაზეოლოგიზმის სიახალგაზრდავის მაჩვენებელია“. მაგრამ ეს არ გვაძლევს უფლებას ფრაზეოლოგიურ შესიტყვებაში ხატოვნების სრული გაქრობა ვიგულისხმოთ და მას აზრის გადმოცემისას მხოლოდ დამხმარე ფუნქცია მივაკუთვნოთ. მაშინ ეჭვის თვალთ უნდა შეგვეხედა იდიომების ექსპრესიული ფუნქციისთვისაც, რომელიც მათ საუკუნეების წინ მიიღეს (თაყაიშვილი ა. „ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები“ 74-75)

1. მრავალი ფრაზეოლოგიური ერთეული საუკუნეების განმავლობაში ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას, მაგრამ აქედან არ უნდა დავასკვნათ, რომ

მნიშვნელობის სტაბილურობა ნიშნავს მისი შეცვლის შეუძლებლობას(Кунин А. В.-Курс фразеологии современного англйского языка 70)

დღეს ენათმეცნიერთა უმრავლესობაში ეჭვს აღარ იწვევს ის ფაქტი, რომ ფრაზეოლოგიზმებისათვის კომუნიკაციური ფუნქციის გარდა დამახასიათებელია ე.წ. კუმულაციური ფუნქცია, რაც მის სემანტიკაში საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი გამოცდილების თავმოყრას და ფიქსაციას გულისხმობს. ფრაზეოლოგიური ერთეულები ასახავენ ხალხის დიდ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, მის სიბრძნეს, საზრიანობას. მათში აისახება ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე ხალხის აზროვნების კონკრეტული, აფორიზმული ხატი.

ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ამგვარი ბუნება აიხსნება მისი ხატოვან-მოტივირებული ხასიათით, რომელიც სინქრონიაში ან დიაქრონიაში ვლინდება

2.4 ფრაზეოლოგია, როგორც ენათმეცნიერების დარგი და მისი კვლევის მეთოდები

ფრაზეების აგება ენაში ლექსემათა და სიტყვაფორმათა კომბინირებისა და შერჩევის ზოგადი კანონზომიერებების-მათ შორის სემანტიკური წესების-მიხედვით ხდება; მაგრამ ზოგადი სემანტიკური წესებით ზოგიერთი ფრაზის მნიშვნელობა მასში შემავალ ლექსემათა მნიშვნელობაზე (მათ სალექსიკონო განმარტებაზე) არ დაიყვანება. ასეთი ფრაზეების კომპონენტებს შორის მჭიდრო კავშირია , ამიტომ მათ მყარ შესიტყვებებს ანუ ფრაზეოლოგიზმებს უწოდებენ. ლექსიკონში ისინი უმეტესწილად „მზა“ ერთეულების სახით არის შეტანილი. ფრაზეოლოგიზმებია, მაგ: გულის გაწყალება, დროის მოკვლა, კოვზი ნაცარში ჩაუვარდა და სხვ. (გამყრელიძე თ „თეორიული ენათმეცნიერების კურსი“ 374).

მყარ შესიტყვებებთან ერთობლიობას ფრაზეოლოგია (ბერძნ. *phrasis* „გამონათქვამი“ *logos* „სიტყვა“ მოძღვრება) ეწოდება. ამავე ტერმინით აღინიშნება ის დარგი, რომელიც ენის ფრაზეოლოგიურ შედგენილობას შეისწავლის.

ფრაზეოლოგია-ეს არის მეცნიერება ფრაზეოლოგიური ერთეულების შესახებ, ანუ რთული სემანტიკის მქონე მყარი სიტყვათნაერთები, რომლებიც არ წარმოიქმნება ცვლადი სტრუქტურულ-სემანტიკური მოდელისაგან.

ენის ღრმა და საფუძვლიანი შესწავლისათვის საჭიროად და აუცილებელია გავერკვეთ მის ფრაზეოლოგიაში. ფრაზეოლოგიის გარეშე შეუძლებელია შესასწავლი ენის ბუნების გარკვევა და მისი სრულყოფილი დაუფლება.

მკვლევართა ერთი ნაწილი ფრაზეოლოგიას აკუთვნებს გარკვეული სიმყარის მქონე ყოველგვარ შესიტყვებას.

ზოგ მკვლევარს ფრაზეოლოგიის შესწავლის ობიექტად მხოლოდ ანდაზები და აფორიზმები მიაჩნია.

ს. აბაკუმოვს ფრაზეოლოგიაში შეაქვს ლიტერატურული კლიშეები, ენობრივი შტამები და შაბლონები.

აკად. ვ. ვინოგრადოვი საფუძვლიანად განიხილავს ფრაზეოლოგიის საკითხებს, მისი სამწვეროვანი კლასიფიკაციის თანახმად, ენაში არსებული მთელი ფრაზეოლოგიური მასალა წარმოდგენილია ფრაზეოლოგიურ შენაზარდებად, ფრაზეოლოგიურ მთლიანობად და ფრაზეოლოგიურ შესიტყვებად.

არლი თაყაიშვილი საფუძვლიანად ანალიზებს ფრაზეოლოგიის ირგვლივ არსებულ ლიტერატურას და გამოთქვამს საყურადღებო მოსაზრებებს ხსენებული საკითხის ირგვლივ.

ავტორს შედარებით სწორად მიაჩნია ვ. ვინოგრადოვის მოსაზრება ფრაზეოლოგიის შესასწავლი ობიექტის შესახებ, მაგრამ იგი ვინოგრადოვის სამწვეროვანი

კლასიფიკაციის საკითხში იზიარებს იმ ავტორთა მოსაზრებებს, რომლებიც აღნიშნული კლასიფიკაციის გადასინჯვასა და კორექტივს მოითხოვენ. იგი სამართლიანად მიიჩნევდა მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც ფრაზეოლოგიური შენაზარდი და ფრაზეოლოგიური მთლიანობა, მყარი შესიტყვების ეს ორი ტიპი, გაერთიანდეს ერთი საერთო სახელწოდების-იდიომის ქვეშ.

2.4 ქართული ფრაზეოლოგიის სპეციფიკური მხარეები

ყველა ენის ფრაზეოლოგია სტრუქტურისა და წარმოქმნის პრინციპებით ძირითადად ერთმანეთს ემსგავსება-არსებობს მათი შექმნის საერთო გზები. ასეთად ჩაითვლება: გარკვეულ ისტორიულ რეალიაზე დაყრდნობა, ბიბლია-მითოლოგიისა და ლიტერატურის მასალის გამოყენება, ენაში არსებული თავისუფალი შესიტყვების მეტაფორული გადააზრება.

მაგრამ ყოველი ენის ფრაზეოლოგიას, გარდა ამ საერთო ნიშნებისა, აქვს სპეციფიკურიც, მისი ბუნებიდან გამომდინარე.

მაგ: როგორც ცნობილია ფრანგულმა ენამ განვითარების ისტორიულ გზაზე მიიღო მკაფიოდ გამოხატული ანალიტიკური ხასიათი, მაგრამ შეინარჩუნა სინთეტური წყობის ნიშნებიც. ამასთანერთად, ფრანგულ ფრაზეოლოგიზმებს ახასიათებთ მეტისმეტი ლაკონიზმი.

რაც შეეხება ქართულ ენას განსაკუთრებით თვალში საცემია გრამატიკული არქაიზმების მქონე ერთეულთა სიმცირე (ყურად იღო, აღიგავა პირისაგან მიწისა და სხვ.). ქართულისათვის აგრეთვე სრულიად უცხოა ფრაზის სინტაქსური სპეციალიზაცია. უმთავრესად ქართული ფრაზეოლოგიზმები თავიანთი სტრუქტურით ახლოს დგანან თანამედროვე ენის სინტაქსურ-მორფოლოგიურ ნორმებთან.

ქართული პოლისემიური ენაა. უამრავი ერთი და იმავე სემანტიკის მქონე სიტყვა მოგვეპოვება, რომლებსაც სინონიმებს ვუწოდებთ. ხშირ შემთხვევაში, ერთი მნიშვნელობის მქონე უამრავი სიტყვა იყრის თავს ჩვენს მეტყველებაში, რაც, იმავდროულად, ტავტოლოგიასაც იწვევს. ასეთ შემთხვევებში კი, კარგი გამოსავალი ხატოვანი გამოთქმების გამოყენებაა, რაც ერთგვარად აგვაცილებს პლენონაზმის პრობლემას.

ქართული ენა მდიდარია ლექსიკური მარაგით, მის ამ თვისებას კი ფრაზეოლოგიზმების სიუხვე განაპირობებს. არაერთი ფრაზეოლოგიზმის მოხმობა შეგვიძლია, რომელიც თანდათან დავიწყებას ეძლევა. მაგ: „დანა პირს არ უხსნის“- დამწუხრებულია, „ფრთები გამოესხა“- გაუხარდა, „ვარსკვლავებს ეთამაშება“ - საოცრად ლამაზია და სხვ.

ქართულ ენაში მოგვეპოვება ასევე ისეთი ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც ჩვენს ენაში გარკვეული ისტორიისა და ეროვნული ნიშნის მატარებელია. მაგალითად, ქუდი, რომელიც კაცისათვის პატიოსნებისა და ვაჟკაცობის სიმბოლო იყო და მას „ნამუსის ქუდად“ მოიხსენიებდნენ. ასევე, ვაჟკაცობისა და სინდისის მიმანიშნებელი იყო ულვაშიც.

რაც შეეხება ხატოვანი იდიომების ჯგუფს, მათ დიდი ელასტიურობა ახასიათებთ; ამ მოქნილობის მაჩვენებელია;

1. იდიომთა უმრავლესობაში ზმნათა მთლიანი პარადიგმული სქემების გამოყენება: გულთან ახლოს მიაქვს, გულტან ახლოს მიიტანა...
2. იდიომის სახელადი ნაწილის ორივე რიცხვში ხმარება რიგ შემთხვევებში: ხელს||ხელებს შლის, თვალი||თვალები აეხილა, ენას კბილი||კბილები დააჭირე...
3. იდიომების კომპონენტების სინონიმებით შეცვლის ფართო შესაძლებლობა: თავი აიშვა||თავი აიწყვიტა, პირი ეწვის||კუდი ეწვის და სხვა.
4. აქტივიდან პასივში ფრაზეოლოგიზმის გადაყვანის დიდი შესაძლებლობა: გულზე გახეთქა-გულზე გასკდა, ტყავს აძრობს-ტყავი გასძვრა..

5. რედუცირებისადმი მიდრეკილება: გულის ჯავრი იყარა-ჯავრი იყარა, ენა მუცელში ჩაუვარდა-ენა ჩაუვარდა. რაც ხშირად ფრაზეოლოგიზმის ერთ სიტყამდე დაყვანას გვაძლევს: უქრის-თავში უქრის, აფრენს-ოფოფებს აფრენს.

ასეთი თავისუფლება მიიღწევა იმით, რომ ქართულში იდიომის საფუძვლის-მხატვრული სახის-აღქმა ხელშესახებია და გამოთქმა თავისი მოდელით უტოლდება ენაში არსებულ ცოცხალ თავისუფალ შესიტყვებებს.

III თავი. იდიომი

იდიომატიკა ლექსიკის ორგანული და ამავე დროს თვისებური ნაწილია.

ტერმინი „იდიომი“ მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან *idioma* რაც „თვისებურებას“ ნიშნავს.

კვლევისას ენათმეცნიერები იდიომს სხვადასხვაგვარად განმარტავენ: როგორც ფრაზეოლოგიურ შესიტყვებას, ფრაზეოლოგიურ ერთიანობას, რომლებიც შედგება ზოგადი, არამოტივირებული მნიშვნელობის მქონე ორი ან მეტი კომპონენტისაგან და ა. შ.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან იდიომის შესახებ ვიგებთ შემდეგ განმარტებებს: 1) იდიომი ამა თუ იმ ენის თვისებური გამოთქმაა, რომელიც, ჩვეულებრივ, სხვა ენაზე სიტყვასიტყვით არ ითარგმნება. მაგ: თვალი დაადგა, ტანს აიყრის, თავს დადებს და სხვა. 2) მვ. კილოკავი. აქვე გვხვდება ტერმინი „იდიომატიზმი“ და „იდიომატური გამოთქმა იდიომის მნიშვნელობით (ჩიქობავა ა“ ენათმეცნიერების შესავალი“)

იდიომი შეიცავს ორ კომპონენტს მაინც. ამდენად ცალკე აღებული სიტყვა მარტივი თუ კომპოზიტი იდიომად არ მიიჩნევა. ეს იმას ნიშნავს, რომ იდიომი აგებულების მიხედვით მკვეთრად განსხვავდება სიტყვისაგან, მაგრამ ემთხვევა ჩვეულებრივ თავისუფალ შესიტყვებას.

ამრიგად, იდიომი არის შესიტყვების ფორმის მქონე დაუშლელი ლექსიკური ერთეული, რომლის მნიშვნელობა არ გამომდინარეობს კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამიდან (ონიანი ალ. „ქართული იდიომები“ 5)

სხვადასხვა მკვლევარს იდიომის სპეციფიკის განსაზღვრელად შემდეგი ნიშნები მიაჩნია:

სიტყვათა წყობის მუდმივი როგი; ამა თუ იმ კომპონენტის სინონიმით შეცვლის შეუძლებლობა; შემადგენელი კომპონენტის ამოგდების ან ახალი კომპონენტის ჩართვის შეუძლებლობა; გრამატიკული და ლექსიკური არქაიზმების დაცვა; ზოგიერთი გრამატიკული კატეგორიის უქონლობა (თაყაიშვილი ა. „ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები“ 21).

3.1 იდიომების სტრუქტურა

ფრაზეოლოგიაში შეიძლება გამოვყოთ მყარ შესიტყვებათა ორი დიდი ჯგუფი: ა) იდიომატიკა ანუ იდიომები და ბ) საკუთრივ ფრაზეოლოგიზმები.

მათ აერთებთ ორი რამ; ორივე მყარი შესიტყვებაა და ორივესათვის მეტ-ნაკლები ხარისხით დამახასიათებელია ხატოვნება.

განსხვავება ისაა, რომ იდიომატური შესიტყვება ნეიტრალურ დონეზე ენაში არ ფუნქციონირებს.

ლექსიკურ-გრამატიკული თავისებურებების მიხედვით, გამოიყოფა სახელური (ნომინაციური) და ზმნური (პრედიკატული) იდიომური გამოთქმები. სტრუქტურული ანალიზის გაკეთებისას უპირატესობა ენიჭება მორფოლოგიურ დონეს.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში ვხვდებით, რიგ მოსაზრებას, რომელთა მიხედვითაც ინგლისური იდიომის განმსაზღვრელ მნიშვნელობად მიჩნეულია:

1. „იდიომი არის შესიტყვების ფორმის მქონე დაუშლელი ლექსიკური ერთეული, რომლის მნიშვნელობა არ გამომდინარეობს კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამიდან“. მაგ: იდიომატური გამოთქმა to keep body and soul together- ნიშნავს

თავის გატანას, მისი შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობა კი ნიშნავს შემდეგს:

To keep- შენახვა, დაცვა, დაფარვა.

Body- სხეული.

And- და (კავშირი).

Soul- სული.

Together-ერთად.

2. იდიომში დაცულია სიტყვათა გარკვეული წყობა, სიტყავთ თანამიმდევრობის გარკვეული რიგი.
3. იდიომთან არ შეიძლება რომელიმე კომპონენტის ამოღება ან ზედმეტი კომპონენტის ჩართვა.
4. ხატოვნება -იდიომის განსაზღვრული ნიშანია
5. იდიომი შესიტყვების ფორმის მქონე ლექსიკური ერთეულია.
6. იდიომში შეიძლება ერთ-ერთი კომპონენტის სინონიმით შეცვლა.

ინგლისური იდიომებისათვის დამახასიათებელ ამ სპეციფიკური ნიშნებიდან ქართულს მივუსადაგებთ:

1. იდიომი სემანტიკურად დაუშლელია და სიტყვის ეკვივალენტურია.
2. იდიომის მნიშვნელობა არ უდრის კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს.
3. ექსპრესიულობა იდიომის სპეციფიკური მხარეა.
4. იდიომს აქვს შესიტყვების ფორმა.

როგორც ზემოთ ნათქვამიდან ჩანს, ქართული იდიომების სპეციფიკურ ნიშნად ვერ ჩავთვლით: სიტყვათა განსაზღვრულ რიგს, იდიომიდან რომელიმე კომპონენტის ამოღებას ან ზედმეტის ჩართვის შეუძლებლობას-ეს ნიშნები ქართული იდიომებისათვის არ არის აბსოლუტური.(შრომები“ 450)

3.2 სიტყვათა წყობის მუდმივი რიგი

ერთი შეხედვით შეუძლებელი ჩანს იდიომის სიტყვათა წყობის მუდმივი რიგის დარღვევა: გულზე ცეცხლი ეკიდება, უყარე კაკალი, ჭურში ზის, (არ ვამბობთ: კაკალი უყარე, ზის ჭურში). სიტყვათა რიგის სიმტკიცეს ხსნიან სემანტიკური მონოლითურობითა და ტრადიციული გაფორმებით.

ინგლისური ანალიზური ენაა და ანალიზური ენისათვის დამახასიათებელია სიტყვათა გარკვეული თანამიმდევრობა: ქვემდებარე-შემასმენელი-დამატება და ა.შ. ამასთან ასეი თანამიმდევრობა დამახასიათებელია არა მარტო იდიომატური გამოთქმებისათვის, არამედ თავისუფალი შესიტყვებებისთვისაც. მაგ: to have a bone to pick with someone-ვინმესთან ანგარიშის გასწორება(იდიომა).

I hope I shall meet him some day; I have a bone to pick with him-ერთხელაც იქნება შევხვდები მას; ანგარიში მაქვს გასასწორებელი.

Hard pill to swallow-მონღება.

I know it`s my fault, but still the fact of my failing in the exam is a hard pill to swallow-ეს ცხადია ჩემი ბრალია, მაგრამ მაინც ვერ მომიწელებია ის აზრი, რომ გამოცდა ვერ ჩავაბარე.

ვერც ერთ ზემოთ განხილულ იდიომატურ გამოთქმებში წევრებს ადგილს ვერ შუუყვცვლით. ავიღოთ თავისუფალი შესიტყვება: to take a book-წიგნის აღება. I have taken a book-მე ავიღე წიგნი.

ამ შესიტყვებაშიც არც ერთი წევრის გადაადგილება არ შეიძლება. წინააღმდეგ შემთხვევაში სრულ უაზრობას მივიღებთ. ინგლისურთან შედარებით ქართულში უფრო სხვა მდგომარეობა გვაქვს. ქართულში სიტყვათა წყობა შედარებით თავისუფალია. ამდენად, ხშირ შემთხვევაში სიტყვათა გადაადგილება ქართულში წინადადების აზრის გაბუნდოვნებას არ იწვევს. ქართულ იდიომატურ გამოთქმებში ზოგჯერ თავისუფლად ხერხდება სიტყვათა მუდმივი რიგის დარღვევა გამოთქმის მნიშვნელობის სრული შენარჩუნებით. მაგალითად:

ყურებზე ხახვი არ დამაჭრა/არ დამაჭრა ყურებზე ხახვი, გული მოუვიდა /მოუვიდა გული, ენას კბილი დააჭირე/დააჭირე ენას კბილი.

ზოგი ავტორი თვლის, რომ „კომპონენტების შებრუნებული რიგი შეიძლება ავხსნათ ან განსაკუთრებული სტილისტიკური დავალებით, ანდა ზეპირმეტყველების ექსპრესიული არალოგიკურობით“.

გ. დემენტიევას თქმით კი „მოვლენების დიალექტიკა შესაძლებელს ხდის სიტყვათა რიგის შეცვლასაც და ჩართვასაც“.

სიტყვათა რიგის ცვლის მიხედვით ყოველი ენის ფრაზეოლოგიზმები განსხვავებული ხასიათისაა-დამოკიდებულია ამა თუ იმ ენის ანალიზურ თუ სინთეზურ ბუნებაზე. ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ფრაზეოლოგიზმებში სიტყვათა რიგი მყარია, რამდენადაც აქ თავისუფალი შესიტყვებაც გარკვეულ თანამიმდევრობას ემორჩილება: ქვემდებარე, შემასმენელი, დამატება. ქართულში კი სიტყვათა რიგის თავისუფლება გვაქვს. ის განსაზღვრული წყობა, რომელსაც მაინც იცავს ქართული, იდიომის ბუნებიდან კი არ მომდინარეობს, არამედ თვით ენის ტენდენციიდან-გარკვეული თანამიმდევრობა დაიცვას შესიტყვებაში.

ამგვარად, ინგლისური იდიომატური გამოთქმებისათვის დამახასიათებელია სიტყვათა წყობის მუდმივი რიგი, ხოლო ქართული იდიომებისათვის ეს ნიშანი არ არის აბსოლუტური.

3.3 იდიომის მნიშვნელობის საფუძველი

იდიომატურობის კრიტერიუმი ავლენს იდიომის მნიშვნელობასთან კომპონენტების მნიშვნელობათა შეფარდებას. გამოთქმის **ლ ე ლ ო გ ა ი ტ ა ნ ა ს** ზოგადი აზრი „გაიმარჯვა“ არ უდრის კომპონენტების **ლ ე ლ ო +გ ა ი ტ ა ნ ა ს** არითმეტიკულ ჯამს. ასეთი შეჯამებით იქმნება, სახელდობრ, იმ თავისუფალი შესიტყვების შინაარსი, რომელიც გარკვეული სპორტული თამაშის დროს ბურთის ხაზს იქით გატანას გულისხმობს.

ბუნებრივია დაისვა კითხვა: რა ქმნის უშუალოდ იდიომის მნიშვნელობას?

მრავალი მკვლევარის მტკიცების წინააღმდეგ, რომლებიც ლაპარაკობენ იდიომის მნიშვნელობის კომპონენტების მნიშვნელობიდან გამოყვანის შეუძლებლობის შესახებ, უნდა ჩავთვალოთ, რომ სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა არის გასაღები იდიომის ჩამოყალიბების გაგებისათვის მაგ., იდიომის kick the bucket -ს მნიშვნელობა “მოკვდა“

მას გამოჰყავს ამავე აგებულების თავისუფალი შესიტყვებიდან. ამ კავშირს პირდაპირსა და ზოგად მნიშვნელობას შორის ამაგრებს ხელშესახები ასოციაცია, რაც მათ შორის დასტურდება.

საქმე ისაა, რომ იდიომების დიდ ნაწილში გამქრალია მისი წარმოშობის საფუძველი. მიიჩქმალა გამოთქმის კაკას ხიდი გაიარას ამოსავალი, მაგრამ მისი ზოგადი მნიშვნელობა „დაიკარგა“, „დავიწყებას მიეცა“, სავსებით ნათელია. მოტივირება არ გვადლევს საბაბს მტკიცებისათვის, რომ გამოთქმის ზოგადი მნიშვნელობა გამომდინარეობს კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამიდან. „ეს რომ ასე იყოს, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა ამგვარი ყველა იდიომის სხვა ენაზე თარგმნა მნიშვნელობის შეუცვლელად, რაც ჩვეულებრივ არ ხერხდება“

მართლაც, კომპონენტებს გარკვეული წვლილი მიუძღვით ზოგადი მნიშვნელობის განვითარებაში. განსაკუთრებით ეს ითქმის ხატოვანი იდიომების მიმართ, რომლებსაც ასოციაციური კავშირი თავის ამოსავალთან დღესაც აქვთ. იდიომის ზოგადი აზრი თავისუფალი შესიტყვების სიტყვასიტყვით მნიშვნელობათა ჯამის ზოგადი ანარეკლია.

რაც შეეხება სხვა ენაზე უთარგმნელობის ფაქტორს, იგი ვერაფერს გვეტყვის მოტივირების ნიშნის არასაკმარისობაზე კომპონენტების მნიშვნელობიდან ზოგადი მნიშვნელობის გამოყვანის საქმეში. ეს იმიტომ რომ ნათელი რიგი ხატოვანი

იდომები თარგმანს ემოცილება: თ ვ ა ლ შ ი ე ც ე მ ა, ხ ე ლ ე ბ ი მ ო ი თ ბ ო, ფ ე ხ ზ ე მ ა გ რ ა დ გ ა ს.

ისტორიული ხასიათის იდომების მნიშვნელობაც მათი სიტყვასიტყვითი გაგებიდან უნდა მოდიოდეს. ისინიც თავის დროზე ასოციაციურ კავშირებს ეყრდნობოდნენ. კაკას ხიდი გაიარა იმ პერიოდშია გადააზრებული, როდესაც ჯერ კიდევ რეალური იყო სიტყვასიტყვითი მნიშვნელობის სიტუაცია (კაკას ხიდზე გამვლელს რომ უბედურება ელოდა). ამ რეალიის მოსპობამ ვეღარ დაარღვია იდომი, რადგან იგი მის „სიცოცხლეშივე“ იყო ჩასახული. და თუ ეს ზოგადი აზრი სიტყვასიტყვით გაგებაზე დაყრდნობით წარმოიშვა, იგი ახლაც ამ სიტყვასიტყვითი მნიშვნელობის ანარეკლად რჩება.

ერთი მომენტიც ართულებს „ისტორიული“ ხასიათის იდომების მნიშვნელობათა გარკვევას. ხშირად შეცდომით ვიძლევიტ იდომის ეტიმოლოგიას, ვაბუნდოვანებთ მისი წარმოშობის სიტუაციას და ამის გამო, მოტივაცია დაკარგულად ვთვლიტ მას. მაგ., იდომის ყურებზე ხახვი არ დამაჭრას საფუძველს ხედავენ შემდეგში: ამ გამოთქმას ისტორიულ მოვლენასტან დაკავშირებულად თვლიან. ძველ დროს დასასჯელს ყურს დანით დაუსერავდნენ, ხოლო სისხლის შესაჩერებლად მიწაზე გართხმულს ხახვს დააჭრიდნენ ყურზე, აქედან გამომდინარეობს გამოთქმა: ყურებზე ხახვი არ დამაჭრაო.

თუმცა შესაძლებელი ამ იდომს სავსებით არაფერი ჰქონდეს საერთო აღნიშნულ პროცედურასტან და სავსებით მოტივირებული იყოს - ეყრდნობოდეს პროცესის შესრულების სიძნელეს.

არ შეიძლება აგრეთვე სავსებით ხატოვანი იდომის თ ა ვ ი ს ხ ლ ა ქ ვ ი ს ა თ ვ ი ს წარმოშობა პირველყოფილი საზოგადოების მიჯნაზე გადავიტანოტ, მხოლოდ იმის გამო, რომ ქვა იყო ამ დროს ერთადერთი იარაღი ადამიანის ხელში.

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ რომ იდიომის მნიშვნელობა ყოველთვის არაა დამოკიდებული კომპონენტების სიტყვასიტყვით მნიშვნელობაზე.

3.4 ფრაზეოლოგიური შესიტყვებები იდიომთან მიმართებაში

ფრაზეოლოგიურ შესიტყვებას კომუნიკაციის პროცესში მნიშვნელოვანი როლი აქვს მინიჭებული. იგი გამოყენების სიხშირით უტოლდება ურთიერთობის ნომინატიურ საშუალებებს და ამასთან არ კარგავს ექსპრესიულ ფუნქციას.

რა არის საერთო, რომლის მიხედვითაც იგი იდიომს ენათესავება?

- 1) უწინარეს ყოვლისა ესაა სემანტიკური დაუშლელიობა. ფრაზეოლოგიური შესიტყვება იდიომის მსგავსად ქმნის ერთ მთლიან გაგებას და წარმოადგენს სიტყვის ეკვივალენტს. შდრ. იდიომი ხელი გაუწოდა „დაეხმარა“ და ფრაზეოლოგიური შესიტყვება სასაცილოდ აიგდო „დასცინა“
- 2) ფრაზეოლოგიური შესიტყვებაც შესიტყვების ფორმის მქონეა და, ამდენად, გამოხატავს აზრის ნაწილს.
- 3) ფრაზეოლოგიური შესიტყვების სემანტიკური მონოლითურობა აირეკლება სინტაქსში: წინადადებაში იგიც ასრულებს ერთ-ერთი წევრის ფუნქციას.
- 4) იდიომის მსგავსად ფრაზეოლოგიური შესიტყვებაც ენაში მზა ფორმით არსებობს და აქვს მუდმივი ლექსიკური შემადგენლობა. ამ დებულებას, ცხადია, ვერ არღვევსმისი ელემენტების სინონიმით შეცვლის შესაძლებლობა: მაგ; პირობას დებს/იძლევა, ეჭვი ეპარება/შეაქვს, მოთმინება დაკარგა/გამოელია.
- 5) ფრაზეოლოგიური შესიტყვება, ისე როგორც იდიომი, ექსპრესიული ფუნქციის მქონე ერთეულს წარმოადგენს. ამ ექსპრესიას ქმნის მათთვის დამახასიათებელი ხატოვნება. მაგ; იდიომი „წყალს ნაყავს“

დაფრაზეოლოგიური შესიტყვება „ ეჭვს ბადებს“ მეტაფორულობის ელემენტებს შეიცავს.

სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი ხუთი ნიშანი ქმნის იმ შემხვედრ მომენტებს, რომელთა წყალობითაც ფრაზეოლოგიური შესიტყვებისა და იდიომის მსგავსება აშკარა ხდება და ისინიც ფრაზეოლოგიის შესწავლის ობიექტებად ერთიანდებიან(თაყაიშვილი ა. „ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები“)

IV თავი: ინგლისური ფრაზეოლოგიური ერთეულები

ფრაზეოლოგია არაერთი ენათმეცნიერის კვლევის საგანია და ამით აიხსნება ამ მოსაზრებების რიცხოვრივი სიმრავლე , რომლებიც ფრაზეოლოგიის გარშემო არსებობს.

ენის გამომსახველ საშუალებათა შორის განსაკუთრებული ადგილი ფრაზეოლოგიურ ერთეულებს უკავიათ. ფრაზეოლოგიზმებში შემჭიდროებული სახით გადმოიცემა გრძნობებისა და აზრების რთული კომპლექსი. ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც პირველად პუბლიცისტის, მწერლის, პოლიტიკოსის ან ადამიანთა ყოველდღიური ყოფის პირობებში იქმნება , როგორც გარესამყაროსათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებათა გადმოცემის შედეგი, იძენენ ფრაზეოლოგიზმების სტატუსს. ფრაზეოლოგიურ ფონდში თუ დაცულია მათი ჩართვის აუცილებელი პირობა -ისინი ენის მატარებლებისათვის ფართოდ გამოყენებად, ხატოვან ერთეულად იქცევიან. კომუნიკაციურ პროცესში მათი სრულფასოვანი მონაწილეობისათვის ადრესატი და ადრესანტი უნდა ფლობდეს კულტურულ და ენობრივ ფონდს, რაც საშუალებას იძლევა ამოიცნონ ფრაზეოლოგიური ერთეულები და შემდეგ კი მისი მნიშვნელობა გაიაზრონ.

ყოველ ენაში არსებობს მზა ერთეულებიყარი შესიტყვების სახით, რომლებიც ამრავალფეროვნებენ და ხატოვნებას ანიჭებენ ენას. ენაში არსებულ ასეთ მზა

ერთეულებს იყენებენ აზრის მხატვრულად გადმოსაცემად ან მოვლენის მკაფიო ასახვის მიზნით.

ენის ღრმა და საფუძვლიანი შესწავლისათვის საჭიროა და აუცილებელი გავერკვეთ მის ფრაზეოლოგიაში. ფრაზეოლოგიის შესწავლის გარეშე შეუძლებელია ენის ბუნების გარკვევა და მისი სრულყოფილად ათვისება.

ინგლისურ ენაში ფრაზებისა და გამოთქმების ჩამოყალიბებას გარკვეული პროცესები უსწრებდა წინ.

ძირითადი ცვლილებები ინგლისურ ლექსიკაში მოხდა მე-7 მე-17 საუკუნეებში. ამ ცვლილებების ახსნის რამდენიმე ვარიანტი არსებობს. ზოგიერთი ენათმეცნიერის მიიჩნევს, რომ ამ ცვლილების მიზეზი ფონეტიკური ხასიათის უნდა იყოს: კერძოდ, უმახვილო პოზიციაში წარმოდგენილი ხმოვნების რედუცირებისა და ბოლოს მათი საერთოდ დაკარგვის ფაქტი, ყოველივე ამის შედეგია ის ფაქტი, რომ დაკარგული გრამატიკული ფორმების ფუნქცია წინდებულიანმა ზმნებმა და სიტყვათა ფიქსირებულმა წყობამ თავის თავზე აიღო.

მეორე ჯგუფის აზრით კი ინგლისური ენისათვის დამახასიათებელი ასეთი ცვლილებები ექსტრალინგვისტური ფაქტორით არის განპირობებული, კერძოდ ეს ფაქტი არის სკანდინავიური ენის გავლენა. ამგვარი გავლენა მოახდინა სკანდინავიელების ენამ გერმანიკული წარმოშობის ანგლო-საქსონურ ტომებთან სალაპარაკო ენის ლექსიკურ შედგენილობაზე.

მეცნიერ-თეორეტიკოსთა მესამე ჯგუფის მიხედვით, ფრაზების ჩამოყალიბება ინგლისურ ენაში „ფუნქციონალურ“ ხასიათის მიზეზით არის გამოწვეული. ანუ ინგლისური ენის სტრუქტურული ტიპის ამგვარი ცვლილება ე.წ. ინტრა და ექსტრა ლინგვისტური ფაქტორების ერთდროულმა მოქმედებამ განაპირობა.

4.1 ინგლისური ფრაზეოლოგიზმების ფორმირება

ფრაზეოლოგიური ერთეულების წარმოშობაზე დიდ გავლენას ახდენს ადამიანური ფაქტორი. ფრაზეოლოგიური ერთეულების უმრავლესობა სემანტიკურად დაკავშირებულია ადამიანთან და მისი მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროსთან. გარდა ამისა ადამიანი ცდილობს „ადამიანური“ ნიშან-თვისებები მიანიჭოს გარესამყაროს უსულო ობიექტებს. ჯერ კიდევ შარლ ბალი ამტკიცებდა, რომ ადამიანის გონების სრულყოფილება იმაშიც ვლინდება, რომ იგი ყოველთვის ცდილობს „გაასულიეროს“ ყველაფერი რაც მის ირგვლივაა. ადამიანის წარმოსახვა მუდამ მიაწერს ხოლმე გარესამყაროს საგნებს იმ ნიშან-თვისებებს, რომელიც მისი პიროვნებისთვისაა დამახასიათებელი. (კუნინ 1970).

ფრაზეოლოგიურ შესიტყვებაში შემავალი კომპონენტები შედარებით დამოუკიდებელ ელემენტებად გვევლინება, რომელთაგან ერთ-ერთი შეიძლება პირდაპირი მნიშვნელობით იქნას გამოყენებული, ხოლო მეორე -გადატანითი მნიშვნელობით.

მაგ: To break silence -სიჩუმის დარღვევა.

To pay attention-ყურადღების მიქცევა.

To make money-ფულის შოვნა.

ამ ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებში პირდაპირი მნიშვნელობით გამოყენებულია კომპონენტები.

Silence -სიჩუმე

Attention -ყურადღება.

Money-ფული.

გადატანითი ანუ არაპირდაპირი მნიშვნელობით გამოყენებული ზმნური კომპონენტები:

To break-დარღვევა (პირდაპირი მნიშვნელობა-გატეხა)

To pay-მიქცევა (პირდაპირი მნიშვნელობა-გადახდა).

To make-შოვნა (პირდაპირი მნიშვნელობა-გაკეთება).

ინგლისურ ენაში ფრაზეოლოგიურ შესიტყვევებს უმეტესად ზმნა და დამატების შეთანხმება (ზმნა-დამატება) ქმნის.:

To break a promise -პირობის დარღვევა.

To break an agreement-შეთანხმების დარღვევა.

To break a news-ახალი ამბის ცნობა.

To break a word-სიტყვის გატეხა. და ა.შ.

ფრაზეოლოგიური ერთეულები შეიძლება იყოს მრავალმნიშვნელობიანი.

To lay something to heart -1) სერიოზული ყურადღების მიქცევა რაიმეს მიმართ, 2)ვინმეს შეგნებამდე დაყვანა (რაიმესი), შთაგონება.

To hop the stick (the twig)-1) კრედიტორებისაგან დამალვა. 2|) სიკვდილი.

ინგლისურ ენაში მოიპოვება აგრეთვე ისეთი ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომელთაც ქართულად მიესადაგება ზუსტი ეკვივალენტები.

მაგ: to add fuel to fire-ცეცხლზე ნავთის დასხმა.

come off clear-წყლიდან მშრალად გამოსვლა.

Catch the fancy (of)- თვალში მოსვლა.

ინგლისური ფრაზეოლოგიზმები ძალიან მდიდარია და მათ აქვთ მრავალსაუკუნოვანი ისტორია. ინგლისური ფრაზეოლოგიური ფონდი შევსებულია, როგორც ძირძველი ისე სხვა ენიდან შემოსული ფრაზეოლოგიზმებით, რომლებიც დროთა განმავლობაში ძირძველი ფრაზეოლოგიზმების ზეგავლენის ქვეშ მოექცნენ.

ენათმეცნიერთა უმეტესობას მიაჩნია, რომ ფრაზეოლოგიური სემანტიკის არსებითი ელემენტები ქვეყანათმცოდნეობის ასპექტში შეიძლება გამოვლინდეს ფრაზეოლოგიურ ერთეულთა შინაარსის პლანის სამ სხვადასხვა დონეზე. მთელ ფრაზეოლოგიურ მნიშვნელობაში, ფრაზეოლოგიზმის ცალკეულ კომპონენტთა ლექსიკურ მნიშვნელობაში, ანკომპონენტო პირდაპირ მნიშვნელობაში,

რომლებშიც აისახება ნაციონალურ-სპეციფიკური სიტუაცია, რაც საფუძვლად ედება ფრაზეოლოგიზმის ხატოვან-გადატანით მნიშვნელობას; მაგ:

Baker`s (devil`s) dozen-ემშაკის წილი, დუჟინი, ცამეტი. ძველი ინგლისური ტრადიციის მიხედვით, პურით მოვაჭრენი მეფუნთუშისგან იღებდნენ ცამეტ ცალ პურს ნაცვლად თორმეტისა. მეცამეტე პური ვაჭრის შემოსავლის ანგარიშში მიდიოდა. აქედან მომდინარეობს ეს გამოთქმა.

Be on (get on, mourst, ride) the high horse-თავის ქედმაღლურად, ამპარტავნულად დაჭერა. ეს გამონათქვამი უკავშირდება ფეოდალებს, რომლებიც ჩვეულებისამებრ ცხენზე ამხედრებულნი იბრძოდნენ. აზუჩად, აგდებით ეპყობოდნენ ქვეითად მებრძოლებს.

გარდა საკუთარი ხალხის ისტორიისა, ზოგიერთი ინგლისური ფრაზეოლოგიური ერთეული სხვა ქვეყნის წეს-ჩვეულებებსაც ასახავს.

A death head(skeleton) at the feast-ნიშნავს პიროვნებას, რომელიც თავისი განწყობით წამლავს მხიარულ სიტუაციას. ძველ ეგვიპტეში არსებული წესის მიხედვით ლხინის დროს თვალსაჩინო ადგილზე დგამდნენ ადამიანის ჩონჩხს, რომელიც სტუმრებს ერთთავად სიკვდილს აგონებდა.

Life is not a bed of roses-ეს გამონათქვამი აღმოცენდა რომაელ მდიდართა ჩვეულებიდან, რომლებიც საკუთარ ლოჟებს ვარდის ფურცლებით ჰფენდნენ.

თანამედროვე ინგლისურ ენაში არსებული ზოგიერთი ფრაზეოლოგიური ერთეული იმგვარ წეს-ჩვეულებებს ასახავს, რომელიც წარსულში იღებს სათავეს და, ამავე დროს დღესაც ამშვენებს ტრადიციების მოყვარულ ქვეყანას.

Full bottom-მამაკაცის პარიკი ხვეული თმით მხრებამდე. ამგვარ პარიკებს დღესაც იკეთებენ ინგლისში მოსამართლენი და კარისკაცები ოფიციალურ ცერემონიალებზე.

Catch (seize, take) time (occasion, opportunity) by the forelock-ისარგებლო შემთხვევით, მომენტით, უქმად არ დაკარგო დრო. ინგლისში დღესაც მიღებულია დროის გამოხატვა მელოტი მოხუცის სახით, თმის კულულით შუბლზე.

ამგვარად ფრაზეოლოგიზმები მეტად მდიდარ ინფორმაციას შეიცავენ.

ფრაზეოლოგიურ ერთეულებს მათი წარმომავლობის მიხედვითა.ვ.კუნინი 3 ძირითად ჯგუფად ჰყოფს.

1 ძირძველი ინგლისური ფრაზეოლოგიზმები:

2. უცხო ენიდან შემოსული და დამკვიდრებული ფრაზეოლოგიზმები;

3. ამერიკული წარმოშობის ფრაზეოლოგიზმები ერთეულები(Кунин А. В.-Курс фразеологии современного английского языка 110).

4.2 ინგლისური ფრაზეოლოგიზმების კლასიფიკაცია

ლინგვისტურ ლიტერატურაში არსებობს ინგლისურენოვანი ფრაზეოლოგიური ერთეულების კლასიფიცირების სხვადასხვა მოდელები, რომლებსაც მეცნიერები გვიზიარებენ. ა.ვ. კუნინის მიხედვით არსებობს ინგლისური ფრაზეოლოგიზმების ოთხი სტრუქტურული ტიპი;

1. ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომელთა შემადგენლობაშიც არსებითი სახელია “the root of the trouble” -პრობლემისა სათავე.
2. ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც ზმნას შეიცავენ: „to put one`s best foot forward”-სწორი გადაწყვეტილების მიღება.
3. ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც შეიცავენ ზედსართვ სახელს: „as good as gold”-ოქროსავით ძვირფასი.
4. ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც ზმნიზედას შეიცავენ. „by hook or by crook”-ნებით თუ ძლით.

ხოლო სემანტიკური თვალსაზრისით ა.ვ კუნინს ოთხ კატეგორიად აქვს დაყოფილი ფრაზეოლოგიური ერთეულები:

1. ნომინაციური ფრაზეოლოგიური ერთეულები, ანუ ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც საგნებს და მოვლენებს აღნიშნავენ. “for dear life” სასოწარკვეთილი.
2. ნომინაციურ-კომუნიკაციური ფრაზეოლოგიური ერთეულები „live not to eat, but eat to live”-ჭამო რათა იცოცხლო და არა, იცოცხლო რათა ჭამო.
3. კომუნიკაციური ფრაზეოლოგიური ერთეულები. „there is no smoke without fire”-კვამლი ცეცხლის გარეშე არ არსებობს.
4. ფრაზეოლოგიური ერთეულები შორისდებულის ფუნქციით. “oh, my eye”-ღმერთო ჩემო.

შარლ ბალის ნაშრომების მიხედვით ფრაზეოლოგიზმების კვლევისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათ კლასიფიკაციას სტრუქტურულ-სემანტიკური თვალსაზრისით.

ცნობილი რუსი ენათმეცნიერი ვ.ვ ვინოგრადოვი თავის ნაშრომებში განმარტავს, რომ „ერის მატერიალური და სულიერი კულტურის შესასწავლად და გამოსავლენად, საჭიროა გამოვიკვლიოთ ენის ფრაზეოლოგიური დონე, რომელიც ამ თვისების საუკეთესო ამსახველია“. ვინოგრადოვის მიხედვით ფრაზეოლოგიაში „საშენ მასალად“ გამოყენებულია სიტყვა. სიტყვები თვითონ არ ამყარებენ ერთმანეთთან კავშირს, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული თუ როგორ დაუკავშირდებიან შინაარსობრივად ისინი ერთმანეთს.

პროფესორი ა.ი. სმირნიცკი მუშობდა ფრაზეოლოგიური ერთეულების კლასიფიკაციაზე მათი სიტყვებთან შედარების გზით. მან ყურადღება გაამახვილა ერთ მთავარ ერთეულზე, რომლებიც შეადარა მიღებულ სიტყვებს, რადგან ამ სიტყვებს საერთო ფუძე ჰქონდათ.

ამ შედარებაზე დაყრდნობით მან სამი სტრუქტურული ტიპი გამოყო:

- 1) ერთეულები სადაც ერთმანეთს ერწყმის ზმნა და პოსტპოზიცია (სიტყვის მდგომარეობა იმ სიტყვის შემდეგ, რომელსაც იგი უშაუალოდ უკავშირდება),
to drop up, to nose up, to back up, to ruy into.
- 2) ერთეულები, მაგ: „to be tired” რომლებიც გარეგნულად ვნებით გვარს მოგვაგონებენ, მაგრამ სრულიად განსხვავებული პოსტპოზიცია უკავიათ. ვნებით გვარში ჩვენ შემდეგი წინდებულები გვაქვს “by” ან “with”, მაგ: to be tired, to be interested in, to be surprised at და სხვ. ამგვარი სახის ერთეულები მოგვაგონებენ თავისუფალ სიტყვათა ჯგუფებს
- 3) წინდებულიანი-სახელობითი ფრაზეოლოგიური ერთეულები. ამგვარი ერთეულების შეუცვლადი სიტყვების ექვივალენტად მიიჩნევა:წინადადებები, კავშირები, ზმნიზედები, ამიტომ არ აქვთმათ გრამატიკაში ცენტრალური ადგილი. მათი სემანტიკური მნიშვნელობის ცენტრი მოდის მათ სახელობით ნაწილზე. მაგ: on the nose(exactly), on the stroke of, in time, on the point of.

ფრაზეოლოგიური ერთეულების სინტაქსური კლასიფიკაცია მოგვცა ი.ვ. არნოლმდა. მან შემდეგი ჯგუფები მოგვცა.

- ა) არსებით სახელიანი ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც აღნიშნავენ საგანს, მოვლენას, პიროვნებას. მაგ: , latchkey child, redbrick university, Green Berets
- ბ) ზმნიანი ფრაზეოლოგიზმები- აღნიშნავენ მოქმედებას, მდგომარეობას, შეგრძნებებს:

to break the log-jam, to be on the beam, to nose out , to make headlines.

- გ) ზედსართავ სახელიანი ფრაზეოლოგიზმები-აღნიშნავენ თვისებას.მაგ: loose as a goose, dull as lead.
- დ) ზმნიზედანი ფრაზეოლოგიური ერთეულები. მაგ: : with a bump, in the soup, like a dream.

- ე) წინდებულიანი ფრაზეოლოგიური ერთეულები.მაგ: in the course of, on the stroke of

ვ) შორისდებულნიანი ფრაზეოლოგიური ერთეულები. მაგ: «Catch me!» ,«Well, I never!»

ფრაზეოლოგიური ერთეული კულტურული ურთიერთობების ძლიერი და თვალსაჩინო მაგალითია. ხშირად ისეა მათი ასიმილაცია მომხდარი ენაში, რომ წარმომავლობა ძალიან ძნელი დასადგენი ხდება. ასეც ხდება, რომ მშობლიურ ენაში არსებული ფრაზეოლოგიზმის გაგებაც კი ჭირს, თუ მას ბიბლიური ან მითოლოგიური წარმომავლობა აქვს.

4.3 ფრაზეოლოგიზმების თარგმნის საკითხი

მთარგმნელობით პრაქტიკაში ფრაზეოლოგია რჩება ერთ-ერთ ძნელ სათარგმ უბნად. ცნობილია, თუ რა დაბრკოლებას აწყდებიან მთარგმნელები უცხო ენის ფრაზეოლოგიური მასალის, კერძოდ იდიომატიკის გადმოტანისას.

ზოგიერთი ავტორი იდიომის სპეციფიკურ ნიშნად თარგმნის შეუძლებლობას მიიჩნევს. მაგრამ ასეთი მოსაზრება საფუძველშივე მცდარია.

უთარგმნელობის მიზეზად მიაჩნიათ ის ფაქტი, რომ იდიომის ზოგადი მნიშვნელობა არ უდრის კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს.

მაგრამ ამ შეუსაბამობას ხომ მშობლიურ ენაზედაც აქვს ადგილი? რას ნიშნავს პირდაპირი გაგებით: წყალს ნაყავს, კუდი ყავარზე აქვს გადებული, ეს ხომ არარეალური და განუხორციელებელი მოქმედებებია.

მაშ რატომ არის ადგილობრივ ნიადაგზე ასეთი გამოთქმები გასაგები? იმიტომ რომ დროთა განმავლობაში ტრადიციის ზეგავლენით ამ შესიტყვებებმა დაიმკვიდრა ზოგადი აზრი.

მეცნიერების უმრავლესობა ოთხ ძირითად სირთულეს გამოყოფს ფრაზეოლოგიური ერთეულების თარგმნისას.

1. ფრაზეოლოგიურ ერთეულს შეიძლება არ ჰქონდეს სამიზნე ენაში.

2. ფრაზეოლოგიზმს შეიძლება მსგავსი ფორმის ეკვივალენტი მოეძებნოს, მაგრამ მას ჰქონდეს განსხვავებული მნიშვნელობა.
3. ფრაზეოლოგიური ერთეული შეიძლება პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით იყოს გამოყენებული.
4. კონტექსტები, რომლებშიც ფრაზეოლოგიური ერთეულებია გამოყენებული, ძალიან განსხვავებული შეიძლება იყოს.

სხვა ენაში იმავე მნიშვნელობას იძლევა სიტყვათა სხვა შეკავშირება. აქ უპირისპირდებიან ენები ერთმანეთში თავისი მხატვრულია ზროვნებით, მხოლოდ იმათი ჩანაცვლებით, რომლებმაც დროთა განმავლობაში ტრადიციის ძალით ამა თუ იმ ენაში ზოგადი აზრი დაიმკვიდრა. ყოველ ერს საზოგადოების საკუთარი არეალი გააჩნია და აქედან ხდება სხვადასხვა ცნებებისა და მოვლენების სახელდება. მაგ: ინგლისურ ენაში არსებული იდიომი “it`s rain cats and dogs”- ქართული შესატყვისი კოკისპირულად წვიმს. მაგრამ ირკვევა, რომ მსგავსი შემთხვევები აბსოლუტური არ არის. შესაძლებელია ერთი ენის სიტყვათკავშირმა სხვაგან მიიღოს ანალოგიური მნიშვნელობა.

ინგლისურში შეტანილია შედარებით გავრცელებული ავსტრალიზმები, ირლანდიზმები და შოტლანდიზმები. ინგლისურში ბევრია აგრეთვე ლათინური და ფრანგული წარმოშობის იდიომები. რომელთა უცხოური წარმომავლობა დღეს ჭირს.

მსგავსი ვითარება გვაქვს ქართულ ენაშიც. ბევრი ვერც კი გრძნობს, რომ გამოთქმების-ფეხზე დადგა, თვალში ეცემა, კისერზე აზის... წარმოადგენს შესაბამისი რუსული გამოთქმების კალკს. ეს გამოთქმები შეითვისა ქართულმა და საკუთრად აქცია. თავიდან ისინი ალბათ ყურს უცხოდ ხვდებოდა , ეს რათქმაუნდა სიახლის ბრალია ასეთსავე უნდობლობას იწვევს დასაწყისში ადგილობრივ შექმნილი იდიომიც.

თარგმანს ძირითადად ემორჩილება ხატოვანი იდიომები, რომლებშიც გაწყვეტილი არაა კავშირი მეტაფორიზაციის საფუძველსა და შედეგს შორის: ხელები ექავება, სულში შეუძვრა, სულით არ დაეცა.

აქედან ჩანს, რომ თარგმნის ელემენტარულ პირობად შეიძლება წამოვაცნოთ ის, რომ ხელშესახები იყოს კავშირი გამოთქმის ამოსავალსა და ზოგად მნიშვნელობას შორის ან ნათლად ჩანდეს გამოთქმის მოტივაციის კვალი.

აღნიშნული პირობა აუცილებელიც გვეჩვენება, რადგან იდიო-კალკი ორჯერ განიცდის გადატანითობას: პირველად მშობლიურ ნიადაგზე, იდიომატური მნიშვნელობის შექმნის მომენტში; მეორედ კალკის დროს, როდესაც უცხო ენაში შედის შეუსაბამო იდიომატური მნიშვნელობით.

V თავი: მაგალითები

ცხრილი 1. მოიცავს მარკ ტვენის-ტომ სოიერის თავგადასავლის მიხედვით მოძიებულ ინგლისურ მაგალითებს, მათ სემანტიკურ და სტრუქტურულ კლასიფიკაციას

ცხრილი 1.			
Semantic meaning	Examples. Phrasal verbs and idioms	Page	Note
1. Man. Appearance The Human Body	With his mouth full of harmony	11	Idiom
	Kept face to face and eye to eye	11	Figurative
	There was cheer in every face and a spring in every step	16	Completive
	His face lit up	23	Figurative
	Poor head full of vision	25	Idiom
	eyes swam in a blur of water	27	Figurative
	there was danger in Tom's eye	29	Figurative
	iron-gray hair	37	Completive
	his tongue was tied	39	Figurative
	made a mouth"	57	Idiom
	his face lit up	61	Figurative
	A tremendous whack came down on Tom's shoulders	62	Completive
	big eyes told Tom his blunder and he stopped, confuse	64	Completive

	to give wings to their feet	80	Literal
	his eyes flaming with passion	78	Figurative
	the boys fixed their eyes on the goal	80	Figurative
	clamping his tongue between his teeth	80	Figurative
	his face came into the moonlight	85	Completive
	Tom's heart was sorer now than his body	85	Completive
	Tom's cheeks burned	96	Figurative
	Tom felt the glare of the old lady's eye	112	Completive
	her feet were treacherous	133	Figurative
	vindictive cast in her eye	134	Figurative
	sudden tenderness dawned in her eyes	134	Figurative
	hard lines in his aunt's face relaxed	139	Completive
	bring her gray hairs with sorrow	134	Figurative
	unwelcoming eyes	134	Idiom
2. Senses and speech	My consciens does hurt me so	9	Figurative
	My old heart most breaks	9	Figurative
	His soul ful of gratitude	12	Figurative
	There was a song in every heart	16	Completive
	An inspiration burs upon him	17	Figurative
	His heart was light	17	Figurative
	His soul was at peace	22	Idiom
	Brimful of exultation	25	Figurative
	his mind was traversing the whole field of human thought	30	Completive
	convulsion of delight that swept his system shook him to his foundations	33	Completive
	his soul was all ablaze with bliss	37	Figurative
	furtive glance told her worlds	39	Completive

	his heart was jubilant	59	Completive
	Tom was in an agony	74	Figurative
	The whisper died wholly out	77	Completive
	choked off and whispered	83	Figurative
	the culprit's heart	85	Literal
	The boys' hearts had stood still	85	Figurative
	his heart sink down to the depths	85	Completive
	stood dumb and staring	89	Figurative
	Everything was swimming before Tom	90	Completive
	She was as simple-hearted and honest	92	Figurative
	Her troubles were instantly at rest	93	Figurative
	her soul at peace again	93	Completive
	indifference was broken up	93	Completive
	Tom felt that it was time to wake up	93	Figurative
	felt a sudden pang of remorse	95	Figurative
	heart gave a great bound	95	Figurative
	Tom was downhearted	116	Figurative
3. Sleep	slept like a graven image	113	Completive
4. Health and sickness	She needed Breathe to punctuate	7	Figurative
	his sore heart at rest	26	Literal
	increased his dismal felicity	27	Literal
	young life untimely cut down	28	Figurative
	the elastic heart of youth	68	Figurative
	Pain-killer	92	Idiom

	It was a very cancer for permanency and pain	139	Completive
5.Death	somebody's days were numbered	74	literal
	that whack might fetch him	81	Idiom
	Drop down dead in their tracks if they ever tell	82	Completive
6.Activities	Lifted up her voice at an angle calculated	7	Literal
	The Switch hovered in the air	7	Literal
	I Ain` t got the fear to lash him	9	Literal
	powerful interest bore them down and Drove them out of his mind	11	Idiom
	She diluted the compliment	22	Figurative
	the dust continued to fly from the two jackets	62	Figurative
	to take refuge in a lie	56	Figurative
	sank down into a chair	49	Figurative
	honest speed	56	Figurative
	hide her griefs	66	Figurative
	disappeared in the gloom	74	Completive
	boys went speeding away in the dark	78	Figurative
	two boys flew on and on	80	Completive
	the fetters that bound their tongues	82	Idiom
	their fears passed away now	85	idiom
to exchange a parting word	85	Figurative	

	This final feather broke the camel's back	86	Idiom
	you got to settle	78	Completive
	flooding him with his blood	78	Completive
	we got to keep mum	81	Idiom
	roasted his bowels	83	Figurative
	putting the thing in a new light	88	Idiom
	The audience listened breathless	164	Figurative
7. Clothing and attitude			
	Spectacles where her state pair, the pride of her heart	8	Completive
8. nature time	Barely in season	10	Figurative
	Tom knew where the windy lay	10	Idiom
	summer world was bright and Briming with life	16	Completive
	the sun rose upon a tranquil world	30	Figurative
	This was a thunderbolt out of a clear sky	37	Idiom
	The air was utterly dead	61	completive
	There was not even a zephyr stirring	68	Figurative
	the dead noonday heat	68	Figurative
	nature lay in a trance	68	Figurative
	with the wind whispering through the trees and caressing the grass and the flowers	68	completive
	time had ceased and eternity begun	74	Figurative
	A faint wind moaned	74	Figurative
	the clouds blotted out the dreadful spectacle	78	Figurative
	The moon drifted from behind the clouds	77	Completive

	the night was almost spent	85	Completive
	There was a late look in the light late sense in the atmosphere	85	Figurative
9 Water, the sea	he would go plowing the dancing seas	68	Completive
	that record in sand was fast washing out waves of happiness	28	Figurative
	the river invited him	27	figurative
10. Politeness	Tom bent all his energies	11	Completive
	honest at heart	18	Figurative
	Many other simple-hearted	64	Figurative
	Tom made an honest effort	75	Figurative
11. fear and evil	She perplexed	25	Idiom
	Full of guille and very deep	10	completive
	Planed the slaughter of more innocents	19	Figurative
	through the broken weather-boarding	24	Completive
	lugubrious howl rose on the night air again	64	Completive
	an awful, unaccountable fascination drew him on	68	Figurative
	in an agony of fright	111	Figurative
	Everything was dismally still	117	Figurative
	pulse stood still	95	Figurative
	Tom still hung fire	96	Idiom
	his heart quaked	62	Figurative
	his eyes showed the fear	87	Figurative
12. melancholy and peril	The Peril was desperate	7	Figurative
	Deep melancholy settled down upon his spirit	11	Completive

His sorrow multiplied	17	Figurative
The thought of it burnt him like a fire	17	Completive
Dark and hopeless moment	17	Figurative
Conscience reproached her	26	Figurative
with a troubled heart	26	Figurative
moved in clouds and darkness	27	figurative
places that were in harmony with his spirit	27	Completive
then her heart broke	39	Figurative
heart sank within him	40	Figurative
The boy's soul was steeped in melancholy	68	Completive
most melancholy caterwauling	74	Figurative
the pervading solemnity and silence oppressed their spirits	74	Completive
Tom's reflections grew oppressive	74	Figurative
made them catch their breath	80	Figurative
in short catches between breaths	80	Figurative
this idea was deep, and dark	81	Completive
whistle he down the wind	92	Figurative
The charm of life was gone	92	Completive
put into mourning	125	Figurative
a sudden falling of his mercury	134	Literal
there was no bright side to life	156	Completive

13. Thought reflection, dreams	He`s full of the old scratch	8	Idiom
	went on thinking	80	Figurative
	This thought broke her down	74	Completive
	Tom`s mind was made up now	80	Completive
	with his half-formed dreams	74	Figurative
	Her astonishment was almost unspeakable	117	
14. Supposition, belief, pride	to yield his pride	117	Idiom
	final struggle with his pride	117	Idiom
15. Doubt and cry	Touch of uncomfortable suspicion	10	Figurative
	Jealousy ran red-hot through Tom's veins	134	Figurative
	with a troubled heart	96	Figurative
	eyes swam in a blur of water	110	Figurative
	she broke entirely down	112	Figurative
	went off crying with all her heart	113	Figurative
	a good cry	134	Idiom
	Her eyes watered a little	110	Completive
17. Knowledge and talent	He was not much posted in anatomy	24	literal
	knowledge is worth more than anything there is in the world	68	literal

	Talent for dark and mysterios diplomacy	10	Idiom
18. Failure	The boys were all eaten up with envy	85	Completive
	dry argument was resumed.	117	Completive
19. wealth	Rolling in wealth	19	Idiom
20. Love	the electric sympathy of love	56	literal
	blood-curdling war-whoop and sear the eyeballs	68	literal

ცხრილი 1.1 მოიცავს მარკ ტვენის-ტომ სოიერის თავგადასავლის ქართული თარგმანის მიხედვით მოძიებულ ფრაზეოლოგიური ერთეულების მაგალითებს, მათ სტრუქტურულ და სემანტიკურ კლასიფიკაციას.

ცხრილი 1.1

სემანტიკური მნიშვნელობა	ფრაზული ზმნები და იდიომები	გვ	ფრაზეოლოგიურ ერთეულებათა ტიპები
1.გამომეტყველება გარეგნობა სხეულის ნაწილები	მისი ბაგენი მუსიკას აფრქვევდნენ	8	ფრაზეოლოგიური მთლიანობა
	თვალი თვალში გაეყარათ	8	ფრაზეოლოგიური შენაზარდი
	სახე ყველას გაცისკროვნებოდა	13	ფრაზეოლოგიური მთლიანობა
	სახე გაუბრწყინდა	13	ფრაზეოლოგიური მთლიანობა

	მრისხანება შენიშნა თვალეში	11	ფრაზეოლოგიური შესიტყვება
	თმა შევერცხლოდა	35	ფრაზეოლოგიური მთლიანობა
	ენა დაება	41	ფრაზეოლოგიური შესიტყვება
	მის სიტყვებს აკლდა ცეცხლი	41	ფრაზეოლოგიური მთლიანობა
	ენაზე იკბინა	64	ფრაზეოლოგიური შენაზარდი
	თვალეები სიძულვილით უელავდა	11	ფრაზეოლოგიური მთლიანობა
	თვალეებში საშინელი შიში ჩასდგომოდა	36	ფრაზეოლოგიური შენაზარდი
	თვალეები აეხილა	64	ფრაზეოლოგიური შენაზარდი
	ტომმა იგრძნო როგორ აენტო დეიდას თვალეები	136	ფრაზეოლოგიური მთლიანობა
	თვალეები აუციმციმდა	140	ფრაზეოლოგიური მთლიანობა
	სიმკაცრის კვალი გაქრა მის სახეზე	144	ფრაზეოლოგიური შესიტყვება
	თვალეები ალერსით გაუბრწყინდა	96	ფრაზეოლოგიური მთლიანობა
	ცხვირი აიბზიკა	63	ფრაზეოლოგიური შესიტყვება
	ტომს თვალეებში დაუბნელდა	68	ფრაზეოლოგიური შენაზარდი
2. გრძნობები და მეტყველება	ხმა აიმაღლა	5	ფრაზეოლოგიური შესიტყვება
	მთელ არსებას დაუფლა ახალი მისწრაფება	8	ფრაზეოლოგიური შენაზარდი
	ქება შეარბილა	8	ფრაზეოლოგიური შესიტყვება

	გულში უნდა ჩაეკლა სევდა	18	ფრაზეოლოგიური მთლიანობა
	სინდისი ქენჯნიდა	35	ფრაზეოლოგიური შესიტყვება
	მოხუცებული გული უკვდებოდა	38	ფრაზეოლოგიური შესიტყვება
	სული მადლიერების გრძნობით აღვსებოდა	64	ფრაზეოლოგიური მთლიანობა
	გული არხინად ჰქონდა	15	ფრაზეოლოგიური მთლიანობა
	გულს მოეფინა		ფრაზეოლოგიური შენაზარდი
	სიხარულმა, რომელიც ამის გამო დაეუფლა , მთელი მისი არსება შეარყია	18	ფრაზეოლოგიური მთლიანობა
	გული ნეტარებით აევსო	25	ფრაზეოლოგიური მთლიანობა
	სინდისის ქენჯნა იგრძნო	103	ფრაზეოლოგიური შესიტყვება
	თავში ათასგვარი საოცნებო ფიქრი უტრიალებდა	114	ფრაზეოლოგიური მთლიანობა
	უფერულ მსჯელობას შეუდგა	48	ფრაზეოლოგიური შესიტყვება
3. შიში მწუხარება განსაცდელი	განსაცდელი გარდაუვალი იყო	5	ფრაზეოლოგიური შესიტყვება
	გულდამძიმებულგაემურა	6	ფრაზეოლოგიური შენაზარდი
	გააძლიერა მისი ნაღველი	28	ფრაზეოლოგიური შენაზარდი
	ბიჭებს სისხლი გაეყინათ	93	ფრაზეოლოგიური მთლიანობა

	მის გულს ღრმა მწუხარება დაეუფლა	94	ფრაზეოლოგიური მთლიანობა
	დარდი გულზე უფრო შემოაწვა	15	ფრაზეოლოგიური მთლიანობა
	ეს აზრი უფრო შიშისმომგვრელი და სიბნელით იყო მოცული	95	ფრაზეოლოგიური მთლიანობა
	ძარღვებში სისხლი გაეყინათ	77	ფრაზეოლოგიური მთლიანობა
	ბიჭი სევდას შეეპყრო	76	ფრაზეოლოგიური შესიტყვება
	თვლებში საშინელი შიში ჩასდგომოდა	103	ფრაზეოლოგიური მთლიანობა
	სინდისმა ქენჯნა დაუწყო	108	ფრაზეოლოგიური შესიტყვება
	გუნება წაუხდა	108	ფრაზეოლოგიური შესიტყვება
	შიშისაგან ენაჩავარდნილები იდგნენ	96	ფრაზეოლოგიური მთლიანობა
	სევდისაგან გული შეეკუმშა	103	ფრაზეოლოგიური მთლიანობა
	მწუხარებას მისცემოდნენ	113	ფრაზეოლოგიური შესიტყვება
	შიშმა გადაუარათ	138	ფრაზეოლოგიური შესიტყვება
4. ეჭვი, სიცბიერე შური	არასასიამოვნო ეჭვმა გაჰკრა	6	ფრაზეოლოგიური მთლიანობა
	ცბიერ კითხვებს აძლევდა	5	ფრაზეოლოგიური შესიტყვება
	თავი მოიკატუნა	24	ფრაზეოლოგიური მთლიანობა
	მახეს აგებდა ახალი უცოდველი მსხვერპლისათვის	18	ფრაზეოლოგიური მთლიანობა
	ბიჭები შურით იხოცებოდნენ	40	ფრაზეოლოგიური მთლიანობა

	ადვილად შეეძლო თავის დაძვრენა	48	ფრაზეოლოგიური შესიტყვება
	ექვიანობამ გულ-ღვიძლი აურია	95	ფრაზეოლოგიური შესიტყვება
5. სურვილი, განზრახვა, ფიქრი	უცებ გაუელვა აზრმა	8	ფრაზეოლოგიური შესიტყვება
	ტომი ღონეს არ იშურებდა	12	ფრაზეოლოგიური შესიტყვება
	მისი გონება ათასი ფიქრით იყო გატაცებული	64	ფრაზეოლოგიური მთლიანობა
	ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა	37	ფრაზეოლოგიური მთლიანობა
	თავში ათასგვარი ფიქრი უტრიალებდა	139	ფრაზეოლოგიური მთლიანობა
6.მარცხი. წარუმატებლობა ტირილი	პირკატა ეცა	26	ფრაზეოლოგიური შენაზარდი
	გული გაუზზარა	38	ფრაზეოლოგიური შენაზარდი
	ცრემლები ყელში ებჯინებოდა	96	ფრაზეოლოგიური შესიტყვება
	თვალეში ცრემლები აუციმციმდა	94	ფრაზეოლოგიური მთლიანობა
	ტირილით გული იჯერა	103	ფრაზეოლოგიური შენაზარდი
	მთლიანად ჩაუკლა ყოველგვარი სიხარული	108	ფრაზეოლოგიური შენაზარდი
7. სიხარული	გული უმღეროდა	13	ფრაზეოლოგიური მთლიანობა
	სახე ყველას გაცისკროვნებოდა	13	ფრაზეოლოგიური მთლიანობა
	გული სიხარულით ჰქონდა სავსე	38	ფრაზეოლოგიური შენაზარდი
8. განცვიფრება, მოულოდნელობა ინტერესი	მის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა	93	ფრაზეოლოგიური შენაზარდი

	დამსწრეებმა სული განაბეს	89	ფრაზეოლოგიური მთლიანობა	
	გულის ფანცქალით ელოდა შედეგს	95	ფრაზეოლოგიური მთლიანობა	
9. დრო, ბუნება , წყალი	მდინარემ მიიზიდა ის	27	ფრაზეოლოგიური შესიტყვება	
	ცხრათვალა მზე სხივებს აფრქვევდა	30	ფრაზეოლოგიური მთლიანობა	
	ქვიშაზე დაწერილ ამ მოგონებას ბედნიერების ტალღები შლიდა	38	ფრაზეოლოგიური მთლიანობა	
	ჰაერი შეხუთული იყო	28	ფრაზეოლოგიური მთლიანობა	
	ბუნება გარინდებულიყო	76	ფრაზეოლოგიური შესიტყვება	
	დრო შეჩერდა და მარადიულობა დამყარდა	84	ფრაზეოლოგიური მთლიანობა	
	ქარი სევდიანად ზუზუნებდა	85	ფრაზეოლოგიური მთლიანობა	
10.სიყვარული	გული სიყვარულის ელექტრული დენის წყალობით ფეთქავდა	31	ფრაზეოლოგიური შესიტყვება	
	მისი სული რომანტიკის დიდებულ მწვერვალებს დასტრიალებდა	77	ფრაზეოლოგიური შესიტყვება	
11. . სიკვდილი	ნაადრევად მოცელილი სიკვდილის მიერ	29	ფრაზეოლოგიური მთლიანობა	
	ფეხები გაეფშოკა	94	ფრაზეოლოგიური შენაზარდი	

	მიწამ გვიყოს პირი თუ წამოგვცდეს	96	ფრაზეოლოგიური შენაზარდი
12. ცოდნა	ანატომიის ცოდნაზე ცოტა უკაცრავად ბრძანდებოდა	25	ფრაზეოლოგიური შენაზარდი
13. მოქმედებანი	ზედ სისხლი დაანთხია	90	ფრაზეოლოგიური მთლიანობა
	ბიჭებმა თავქუდმოგლეჯილებმა მოკურცხლეს სიბნელეში	90	ფრაზეოლოგიური მთლიანობა
	მიჭები მიფრინავდნენ ქალაქისკენ	93	ფრაზეოლოგიური მთლიანობა
	ფრთები შეესხათ	93	ფრაზეოლოგიური შენაზარდი
	სულს ძლივ ითქვამდა	93	ფრაზეოლოგიური შესიტყვება
	პირში წყალი უნდა ჩავიგუბოთ	94	ფრაზეოლოგიური შესიტყვება
	დააბეს თავიანთი ენები	96	ფრაზეოლოგიური შესიტყვება
	ტომი სახეალეწილი წამოდგა	96	ფრაზეოლოგიური მთლიანობა
	ჯიბეში შეენახა თავისი ამპარტავნობა	143	ფრაზეოლოგიური შენაზარდი
	შეაფურთხა თავის თავმოყვარეობას	143	ფრაზეოლოგიური შენაზარდი
მოდუნებული სიცოცხლე შეირხა	149	ფრაზეოლოგიური მთლიანობა	

ცხრილი 1.2 მოიცავს სტატისტიკური კვლევის დასკვნით მოდელს. ფრაზეოლოგიური ერთეულების, მათი სტრუქტურული და სემანტიკური კლასიფიკაციის საბოლოო შედეგებს.

ცხრილი 1.2

სემანტიკური მნიშვნელობა	ინგლ.ფრ	ლიტ	გადატ	სრული	იდიომებ	ქართულ	ფრ.შენაზ	ფრაზ.მთ	ფრზ.შეს	საერთო რაოდენ
გამომეტყველ, სხეულის ნაწ	26	1	14	7	3	17	5	8	4	43
გრძნობები და მეტყველ	29	1	17	10	1	13	2	5	6	42
ძილი	1	0	0	1	0	0	0	0	0	1
ჯანმრ და ავადმყოფობა	7	2	3	1	1	0	0	0	0	7
სიკვდილი	3	1	0	1	1	3	2	1	0	6
მოქმედებანი	23	3	10	4	6	11	3	5	3	34
ტანისამოსი და მორთულ	1	0	0	1	0	0	0	0	0	1
ბუნება, დრო	16	0	9	5	2	7	0	5	2	23
წყალი, ზღვა	3	0	2	1	0	2	0	2	0	5
თავაზიანობა, სიხარული	4	0	3	1	0	3	1	2	0	7
შიში, სიბოროტე	12	0	7	3	2	14	2	6	6	26
სევდა, განსაცდელი	23	1	14	8	0	3	1	2	0	26
აზრები, რეფლექციები სიზმრები	5	0	2	2	1	3	1	2	0	8
რწმენა, ვარაუდი, სიამაყე	2	0	0	0	2	0	0	0	0	2
ეჭვი, ტირილი	8	0	6	1	1	12	0	5	7	20
ცოდნა, ნიჭი	3	2	0	0	1	1	1	0	0	4
მარცხი წარუმატებლობა	4	2	0	2	0	5	3	1	1	9
სიმდიდრე	1	0	0	0	1	0	0	0	0	1

სიყვარული	2	1	0	0	1	2	0	0	2	4
-----------	---	---	---	---	---	---	---	---	---	---

დასკვნა

ჩემ მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომის თეორიულ ნაწილში განხილულ იქნა ფრაზეოლოგიის ორი დიდი ჯგუფის იდიომებისა და ფრაზეოლოგიური შესიტყვებების განხილვა ქართულ და ინგლისურ ენებში შემდეგი ასპექტებით: გრამატიკა, სტრუქტურა და სემანტიკური კლასიფიკაცია. ჩემი კვლევის ძირითადი მიზანი იყო ინგლისურენოვანი მხატვრული ლიტერატურიდან შემეკრიბა ფრაზეოლოგიური ერთეულები და მომეხდინა შედარება მათ ქართულ ექვივალენტებთან, დამეჯგუფებინა ისინი მათი სემანტიკური და სტრუქტურული მოდელის მიხედვით და გამერკვია რამდენი ფრაზეოლოგიური ერთეული შევიდოდა ერთი და იმავე სემანტიკური მნიშვნელობის მქონე ჯგუფში. ამისათვის სამუშაო მასალად ავიღე ამერიკელი საბავშვო მწერლის მარკ ტვენის ცნობილი სათავგადასავლო ნაწარმოები „ტომ სოიერის თავგადასავალი“ და მისი ქართული თარგმანი (მთარგმნელი - გრიგოლ ყიფშიძე)

აღმოჩნდა, რომ მოძიებულ 200 მაგალითიდან ფრაზეოლოგიური ერთეულების საერთო რაოდენობამ ინგლისურ დედანში შეადგინა 172, აქედან ლიტერატურულ ერთეულს შეადგენს 14 მაგალითი, გადატანითს 87, სრულ ფრაზებს 48 და იდიომებს -23. როგორც აქ სტრუქტურულად უფრო ხშირად ვხვდებით გადატანით ფრაზულ ზმნებს. რაც შეეხება სემანტიკურ მნიშვნელობას, აქ ყველაზე ხშირად შევხვდი გამომეტყველების, სხეულის ნაწილების, მეტყველების, გრძნობების, სევდა განსაცდელისა და მოქმედების აღმნიშვნელ ფრაზებს.

განსხვავებული სურათი დამხვდა ნაწარმოების ქართულ თარგმანში, სადაც ფრაზების საერთო რაოდენობამ შეადგინა 96, აქედან ტიპიურად დაუშლელ ფრაზებს (იდიომებს) მიეკუთვნება 66 (ფრაზეოლოგიურ მთლიანობებს 46, ხოლო ფრაზეოლოგიურ შენაზარდებს 20), ხოლო ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებს 30 მოცემული შედეგებიდან ჩანს, რომ ქართულ თარგმანში ჭარბობს ფრაზეოლოგიური მთლიანობები, რაც შეეხება სემანტიკურ მნიშვნელობებს, ქართულში ფრაზეოლოგიური ერთეულების ყველაზე მეტი რაოდენობა დაფიქსირდა გრძნობების, გამომეტყველების, სხეულის ნაწილების, აზრების და მოქმედების აღმნიშვნელ სემანტიკურ ჯგუფებში.

ბიბლიოგრაფია

4. თეორიული ენათმეცნიერების კურსი - თ. გამყრელიძე. ზ. კვიციანი. ი. შადური, ნ. შენგელაია. « თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა » 2003
5. ენათმეცნიერების შესავალი ნაწილი II- ლ.ა. ბულახოვსკი « თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა» თბილისი 1955
6. ქართული ენის ლექსიკოლოგია - ბ. ფოჩხუა « თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა » თბილისი 1974
7. ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები - ალ. ლლონტი გამომცემლობა „განათლება“, თბილისი 1971
8. ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები - თაყაიშვილი არლი, საქ-ოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა 1961
9. ინგლისური ფრაზეოლოგიური ერთეულები და მათი ქართული ეკვივალენტები- მ. კვიციანი--„შრომები 24“ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, თბილისი, 1993
10. ფრაზეოლოგიის რაობისათვის- თ. მღებრიშვილი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე 137ტ. 1990
11. თანამედროვე ინგლისური ენის ფრაზეოლოგიური ერთეულები-ლ. ბარნაბიშვილი, „უცხოური ენები სკოლაში“ საქართველოს ჟურნალ გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“ 1991.
12. ინგლისური ფრაზეოლოგიური ერთეულების სწავლების თავისებურებანი საბაზო საფეხურზე-კალაძე თ. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დისერტაცია 2017
13. ტომ სოიერის თავგადასავალი-მარკ ტვენის გრიგოლ ყიფშიძის თარგმანი გამომცემლობა „ბაკურ სულაკაური“ 2013.
14. გვარჯალაძე ... 1979; გვარჯალაძე თ, გვარჯალაძე ი, ქართულ-ინგლისური ლექსიკონი, თბილისი, 1979.
15. Кунин А. В.-Курс фразеологии современного английского языка
16. Виноградов В.В.Об основных типах фразеологических единиц в русском языке. МоскваЖ 1977.
17. THE ADVENTURE OF TOM SAWYER- MARK TWAIN
18. Dixon J. Robert- Essential Idioms in English- Longman press.
19. Lakoff G. and Jonson M.-Metaphors We Live By, The University of Chicago Press.

20. Howarth p. phraseology and second language proficiency Oxford University Press
1998
21. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/307440/1/Axali_Ganatleba_2019_N19.pdf
22. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/302602/1/Ena_Da_Kultura_2019_N21.pdf
23. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/243533/1/Ena_Da_Kultura_2017_N18.pdf